CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 7 ივლისი, 2009 წელი. №151 (2189) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

იხილეთ ჩანართი


The New York Times
რეპრესიის გაკვეთილები

ირანი - არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო სასულიერო პირები

A4



მაიკლის უკანასკნელი შოუ

A5



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# საუკეთესო რეალისტური შედეგი


AFP ' 2009

*შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუს კოლეგასთან შეხვედრაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა კიდევ ერთხელ საჯაროდ დაადასტურა. თბილისში კმაყოფილებით შეხვდნენ ობამას განცხადებას, რომელიც აშშ-ს პრინციპული პოზიციის დადასტურებად მიიჩნიეს. საქართველოს საკითხზე უთანხმოების მიუხედავად, ორი ქვეყნის ლიდერებმა გუშინ რამდენიმე დოკუმენტი წარმატებით გააფორმეს. მათ შორის - დეკლარაცია ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ და შეთანხმება ავღანეთში ამერიკული სამხედრო ტვირთების ტრანზიტზე.*

დიმიტრი ავალიანი

აშშ და რუსეთი ყველა საკითხში არ ეთანხმებიან ერთმანეთს, - აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა რუს კოლეგასთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე და ამგვარი უთანხმოების მთავარ მაგალითად საქართველოს საკითხი დაასახელა.

მისი თქმით, ამ საკითხზე პრეზიდენტებს შორის **"გულახდილი მსჯელობა"** გაიმართა. **"მე დავადასტურე, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა ვცეთ. მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად ვმუშაობთ საქართველოს საზღვრების გამო ჩვენ შორის არსებულ უთანხმოებებზე, ვთანხმდებით იმაზე, რომ არ ვართ დაინტერესებულნი ახალი სამხედრო კონფლიქტით. წინსვლას რომ მივაღწიოთ, საჭიროა უთანხმოებები გულწრფელი, მშვიდობიანი და კონსტრუქციული მსჯელობის გზით დავძლიოთ,"** - განაცხადა შეერთებული შტატების პრეზიდენტმა. დმიტრი მედვედევს ამ საკითხზე კომენტარი არ გაუკეთებია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## განსხვავებული კომისია

*გუშინ "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. გარდა ამისა, ალასანიას თქმით, "ალიანსის" წინადადებები ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისთვისაც. "მათთან თანამშრომლობის ფორმას კი მას შემდეგ გავარკვევთ, რაც ჩვენი წინადადებებისადმი ინტერესს დავინახავთ," - განაცხადა ალასანიამ.*

დათო გამისონია

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ქჭპლყქ პყპხპჩქპშ განაცხადა, რომ საზოგადოებრივ კომისიაში "ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელი ვახტანგ ხმალაძეა. "ალიანსის" თანათავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კი კიდევ ერთხელ ისაუბრა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მოსამზადებელი ცვლილებების მოდელზე. **"დღევანდელ ვითარებაში რაც არ უნდა კარგი მოდელი მიიღოს მოქმედმა პარლამენტმა, ეს ვერ იქნება კონსტიტუცია, უკეთეს შემთხვევაში, იგი კარგად ჩამოყალიბებულ დოკუმენტად დარჩება,"** - აღნიშნა უსუფაშვილმა. რაც შეეხება საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობას, "ალიანსი საქართველოსთვის" მზად არის, რომ თავისი მოსაზრებები კომისიას წარუდგინოს და მისი პოზიცია მოისმინოს. "24 საათი" ესაუბრა საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიის წევრს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## პარლამენტი "რიგგარეშე რეჟიმში"

გიორგი ასანიშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტმა ქართველ პარლამენტარებს თავიანთი უშუალო მოვალეობები "დაავიწყა": პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა ბიუროს გუშინდელ სხდომაზე დაგვიანებით მისვლა იმით ახსნა, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრის ამსახველ ტელესიუჟეტს ადევნებდა თვალს.

რუსეთისა და ამერიკის პირველი პირების შეხვედრას საქართველოს პარლამენტის ნომერ მეორე პერსონა იმედიანად უყურებს. მაჭავარიანს ეჭვი არ ეპარება, რომ ერთ-ერთი საკითხი, რომელზეც ბარაკ ობამა აქცენტს გააკეთებს, საქართველოს უსაფრთხოების დაცვა იქნება.

**"არ შეიძლება, ოცდამეერთე საუკუნეში არსებობდეს გავლენის სფეროები, ოკუპირებული ტერიტორიები და დევნილები, რადგან ეს ვიღაცას სურს და ვიღაცამ ასე გადაწყვიტა,"** - შეერთებული შტატების ლიდერისგან პრინციპული პოზიციის დაკავებას ელის საქართველოს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი.

ვიდრე მოსკოვის შეხვედრის დეტალები გამოიკვეთება და კონკრეტული შედეგები გაირკვევა, დეპუტატები პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე განსახილველი საკითხებით არიან დაკავებულნი.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

## მიხეილ სააკაშვილი ლიტვაში

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლიტვაში იმყოფება.

პრეზიდენტი ვილნიუსში ლიტვის ათასწლეულისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებს დაესწრება.

დაგეგმილია შეხვედრები ლიტვის პრეზიდენტთან და პარლამენტის სპიკერთან. სააკაშვილი შეხვდება ფინეთის პრეზიდენტსაც.

მთავარი საზეიმო ღონისძიება ლიტვის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართება, რომელსაც რამდენიმე ქვეყნის ლიდერი დაესწრება. **ინტერპრესნიუსი**

## ევროკავშირის დელეგაცია თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს ეწვევა

ევროკავშირის "ტროიკა", რომელშიც შევლენ ევროკავშირის ყოფილი თავმჯდომარე ქვეყნის ჩეხეთის, მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის და ევროკომისიის წევრები, თბილისს და რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს ეწვევა, - ამის შესახებ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის ელჩმა მოსკოვში ტომას ბერტელმანმა განაცხადა.

"ჩვენ ძალიან ვწუხვართ იმის გამო, რომ რუსეთმა უარი თქვა გაერო-სა და ეუთო-ს მისიების გაგრძელებაზე. ახლა იქ ევროკავშირის მისია მუშაობს და ჩვენ გავაგრძელებთ განხილვას, თუ როგორ უნდა გავაგრძელოთ მუშაობა და რისი გაკეთება შეგვიძლია," - განაცხადა ბერტელმანმა და დასძინა, რომ "ჩვენ მალე მოვინახულებთ ამ რაიონს და ვნახავთ, თუ რისი გაკეთება შეგვიძლია".

ამავე დროს, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის ელჩი აშშ-ს პრეზიდენტის მოსკოვში ვიზიტს შეეხო და განაცხადა, რომ ეს ვიზიტი შესაძლოა, გარკვეული შედეგის მომტანი იყოს.

"შესაძლოა, ობამას ვიზიტმა გარკვეული შედეგები მოიტანოს," - განაცხადა ელჩმა და დასძინა, რომ საქართველო აშშ-ს ერთ-ერთი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ევროკავშირი ფინანსურ დახმარებას გამოყოფს

ევროკავშირი "აღმოსავლეთის პარტნიორობაში" მონაწილე ქვეყნებისთვის ფინასურ დახმარებას გამოყოფს. დახმარების პაკეტი მიმართულია კულტურის პოლიტიკისა და სამოქალაქო საზოგადოების, მცირე და საშუალო მეწარმეობის, ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის, სოციალური და კულტურული პოლიტიკის, გარემოს დაცვის, ბუნებრივი კატასტროფების შედეგების აღკვეთისა და გლობალური დათბობის პროექტების დასაფინანსებლად.

ბრიუსელში ევროკომისიის მიერ გავრცლებულ ინფორმაციში აღნიშნულია, რომ პროგრამები რეგიონული ხასიათისა იქნება.

"მოხარული ვარ, რომ გამოყოფილია 40 მილიონი ევრო მრავალმხრივი პროექტების დასაფინანსებლად პარტნიორ ქვეყნებში, რომლებიც ჩვენს აღმოსავლეთის საზღვარზე მდებარეობენ. ეს ქვეყნები ერთი და იმავე პრობლემების წინაშე დგანან, რომელთა გადაჭრაც მათ ერთობლივად შუძლიათ. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათ შორის ნდობის გაძლიერებას, გააუმჯობესებს უსაფრთხოების საკითხებს, რეგიონის სტაბილურობასა და აყვავებას," - განაცხადა ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ბენიტა ფერერო-ვალდნერმა.

ბენიტა ფერერო-ვალდნერმა კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ პროგრამის ერთ-ერთ ასპექტს კულტურის სფეროში რეგიონული თანამშროლობის ხელშეწყობა წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხა - 40 მილიონი ევრო, მნიშვნელოვნად ნაკლებია თავადაპირველად გაჟღერებულ 250 მილიონ ევროზე.

ასევე ნიშანდობლივია, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის პრემიერ-მინისტრ ფრედერიკ რეინფელდტის განცხადება, რომელმაც "აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროგრამის დროებით შენელების მიზეზად "ახალი გამოწვევები" დაასახელა.

"ევროკავშირს მრავალი რთული პრობლემა წარმოექმნა. ევროპა ახლა სერიოზულ ფინანსურ კრიზისში იმყოფება და ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს ძალისხმევას ამ კრიზისის სამართავად და უმუშევრობის დასაძლევად, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა. ჩვენი მიზანია, გამოვიდეთ კრიზისიდან. ასევე ჩვენი თაობისთვის უსერიოზულეს პრობლემას, რასაკვირველია, კლიმატის ცვლილება წარმოადგენს," - განაცხადა შვედეთის პრემიერ-მინისტრმა.

ამიტომაც "აღმოსავლეთის პარტნიორობის" პროგრამის მთავარი პუნქტების - კერძოდ, შეთანხმება ასოციაციის შესახებ, თავისუფალი ვაჭრობა, სავიზო რეჟიმის გამარტივება - მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ევროკავშირი უარს არ ამბობს "აღმოსავლეთის პარტნორობაზე", მაგრამ თავმჯდომარე ქვეყნის განმარტებით, უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში ამ მიმართულებით ახალი ინიციატივები და წინსვლა ნაკლებად მოსალოდნელია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# პარლამენტი "რიგგარეშე რეჟიმში"

პირველი გვერდიდან

მართალია, ბიუროს სხდომაზე სესიის ჩატარების თარიღი არ დაზუსტებულა (სავარაუდოდ, ის პარასკევს გაიმართება), მაგრამ მისი დღის წესრიგი პარლამენტარებმა გუშინ დეტალურად განიხილეს.

რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი მესამე მოსმენით დაამტკიცებს "პატიმრობის შესახებ" კანონში შესატან ცვლილებებს, რის შემდეგაც მსჯავრდებულებს უფლება ექნებათ, ხანმოკლე ვადით დატოვონ სასჯელაღსრულების დაწესებულება. ასევე მესამე მოსმენით განიხილება "სახალხო დამცველის შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებებიც, რომელთა თანახმად, სახალხო დამცველის კანდიდატურის წარდგენის უფლება, ნაცვლად დეპუტატთა ათკაციანი ჯგუფისა, პარლამენტის წევრთა, სულ ცოტა, ექვსკაციან ჯგუფს ექნება.

გარდა ამისა, რიგგარეშე სესიაზე პარლამენტი მოისმენს მთავრობის ანგარიშს "საქართველოს 2008 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ". თუმცა, საბიუჯეტო თემატიკა ამით არ ამოიწურება - რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში აგრეთვე შევიდა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის საკითხიც.

საკანონმდებლო ორგანოში გუშინ ასევე აქტიურად განიხილებოდა "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივაც, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გაყოფას (შსს-დ და უშიშროების სამსახურად) გულისხმობს.

აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივას თავად საპარლამენტო უმცირესობის შიგნით გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. მაგალითად, ფრაქცია "ძლიერი საქართველოს" თავმჯდომარე გია თორთლაძე დარწმუნებულია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გაყოფით ძირეულად არაფერი შეიცვლება. თორთლაძეს სამინისტროს გაყოფაზე უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ისეთი ბერკეტების შემუშავება, რომლებიც ამ ძალოვან უწყებას უფრო გამჭვირვალეს გახდის.

"ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივაზე კიდევ უფრო მკვეთრი რეაქცია აქვთ სახელისუფლებო ფრაქციაში. პავლე კუბლაშვილისთვის აღნიშნული ინიციატივა კატეგორიულად მიუღებელია.

**"არსებული სამართალდამცავი სტრუქტურა ყველა მიმართულებით საკმაოდ გამართულად მუშაობს და არა მგონია, მისი გაყოფა სწორი იყოს. შსს-ს ფუნქცია სამართალდარღვევებზე რეაგირებაა და არანაირი პოლიტიკური ფუნქცია მას არ გააჩნია. თუ ვინმეს უნდა, რომ ქვეყნის შიგნით ოპოზიციური უშიშროების სამსახური შექმნას, ეს გზა 90-იან წლებში უკვე გამოვიარეთ და არა მგონია, საჭირო იყოს, მას კიდევ დავუბრუნდეთ,"** - აცხადებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. კუბლაშვილისთვის ისიც ყოვლად წარმოუდგენელია, თუ როგორ შეიძლება უშიშროების სამსახური პარლამენტს დაექვემდებაროს...

სახელისუფლებო გუნდის ადრესატად, საპარლამენტო უმცირესობასათან ერთად, კვლავ რჩება არასაპარლამენტო ოპოზიცია. მიხეილ მაჭავარიანი მათ ლიდერებს "მეტი გამბედაობისკენ" მოუწოდებს და საარჩევნო კოდექსსა თუ ახალ კონსტიტუციაზე ერთობლივ მუშაობას კიდევ ერთხელ სთავაზობს.

**"დროა, ისინი, საკუთარი ინიციატივებისა და წინადადებების ელექტრონული ფოსტით გაზიარების ნაცვლად, კონკრეტულ ქმედებებზე გადავიდნენ და კომისიების მუშაობაში ჩაერთონ,"** - მოუწოდებს მაჭავარიანი არასაპარლამენტო ოპოზიციის ხელმძღვანელებს.

# "ქრისტიან-დემოკრატები" შსს-ს რეფორმირების ინიციატივით გამოდიან

*"ქრისტიან-დემოკრატები" შსს-სთვის პოლიტიკური ფუნქციების ჩამოშორებას და უშიშროების სამსახურის ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებას ითხოვენ. ეს განცხადება "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა ნიკა ლალიაშვილმა პარალამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე გააკეთა.*

**"უკანასკნელ პერიოდში შსს-ს პოლიტიკურ პროცესეში აქტიურად ჩარევის საკითხმა გაააქტიურა მოსაზრება, რომ ამ სამინისტროს პოლიტიკური ფუნქციები უნდა ჩამოშორდეს,"** - განაცხადა ნიკა ლალიაშვილმა, რომლის თქმითაც, საჭიროა ისეთი საკონსტიტუციო ცვლილების განხორციელება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას პოლიტიკური კომპონენტი ჩამოშორდეს. ამისთვის უნდა მოხდეს, უწყების სტრუქტურული რეკონსტრუქცია და შესაბამისი დეპარტამენტების გამოყოფა.

ნიკა ლალიაშვილის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეაორგანიზაციის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების სამსახური ჩამოყალიბდება, რომელიც ქვეყანაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე იქნება პასუხისმგებელი, პარლამენტს დაექვემდებარება და მის წინაშე ანგარიშვალდებული იქნება.

მისი თქმით, ამისთვის საჭიროა, ცვლილებები შევიდეს როგორც კონსტიტუციაში, ასევე სათანადო კანონმდებლობაში.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს, ლალიაშვილის განმარტებით, სამინისტრო ისევ მთავრობის დაქვემდებარებაში დარჩება, უშიშროების სამსახურის ფუნქციების გამოკლებით.

მისივე თქმით, "ქრისტიან-დემოკრატები" აღნიშნულ საკონსტიტუციო წინადადებას განსახილველად სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას წარუდგენენ.

ნიკა ლალიაშვილი აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამსახურის ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა ბევრად უფრო ეფექტური იქნება.

*საკუთარი ინფორმაცია*

# "კიას" და "კორ სტანდარტ ბანკის" ერთობლივი აქცია

თითქმის ერთი წელიწადია, საქართველოს საავტომობილო ბაზარი სტაგნაციას განიცდის. ჯერ ომმა, შემდეგ კი ფინანსურმა კრიზისმა ბანკებს კრედიტების გაცემის შეზღუდვა აიძულა, რაც პირდაპირ აისახა საავტომობილო დილერების საქმიანობაზე, რომელთა ბიზნესის მთავარი მამოძრავებელი წყარო სწორედ ავტოკრედიტები იყო.

დღეს ავტოდილერები მოუთმენლად ელიან იმ დროს, როდესაც ბანკები კვლავ დაიწყებენ იოლი კრედიტების გაცემას, რაც ახალი ავტომობილების პოტენციურ მყიდველს კვლავ ავტოსალონებში დააბრუნებს. რა თქმა უნდა, სანამ ქვეყნის მოსახლეობის საშუალო ფენის შემოსავლები ომამდელ დონეს გაუტოლდება, საქმეს კრედიტებიც ბოლომდე ვერ უშველის, მაგრამ ბანკების აქტიურობა მაინც მყიდველის მოზიდვის, გაყიდვების გამოცოცხლების წინაპირობაა. მეორე მხრივ, ბანკებსაც თავიანთი კაპიტალის ეფექტურად დაბანდების მეტი საშუალება გაუჩნდებათ. მოკლედ, უძრაობიდან მოქმედებაზე გადასვლით ორივე მხარე თანაბრადაა დაინტერესებული.



*ერთობლივი აქციის დაწყება მხარეებმა "კიას" ავტომობილის ფორმის ტორტით აღნიშნეს.*

სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად "კორ სტანდარტ ბანკისა" და "იბერია ბიზნეს ჯგუფში" შემავალ დილერ "კია მოტორს ჯორჯიას" ერთობლივ ფასდაკლების და განვადების აქციას, რომელიც "კიას" ავტომობილების მყიდველს მეტად ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს.

ეს პირობები, კორეული კომპანიის დილერის მხრიდან, ნებისმიერ მოდელზე 15-21-პროცენტიან ფასდაკლებას გულისხმობს, "კორ სტანდარტ ბანკი" კი კრედიტის აღების მსურველს, შემოსავლის დადასტურების გარეშე, 17-პროცენტიან განვადებას (ფასდაკლებულ ავტომობილებზე) სთავაზობს.

განაცხადის შევსება ბანკის საიტზე, ოფისიდან გაუსვლელად ან "კია მოტორს ჯორჯიას" ავტოსალონშია შესაძლებელი, რის შემდეგაც მყიდველი პასუხს 5 წუთში მიიღებს.

საერთო ჯამში, მყიდველს "კიას" ნებისმიერი მოდელის შეძენა მის ნომინალურ ღირებულებაზე გაცილებით იაფი უჯდება.

აქცია 15 აგვისტომდე გაგრძელდება, რის შემდეგაც "კია მოტორს ჯორჯია" და "კორ სტანდარტ ბანკი" მყიდველს კიდევ არაერთ სიურპრიზს უმზადებენ.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# საუკეთესო რეალისტური შედეგი

პირველი გვერდიდან

ბარაკ ობამას განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი. მან **"რუსეთის მიერ შემოგდებული ტყუილი"** უწოდა განცხადებებს იმის შესახებ, რომ საქართველო იზოლაციაში მოექცა და დასავლეთისა და დემოკრატიული სამყაროს მხარდაჭერა დაკარგა. **"ამერიკამ უპირობოდ დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და მშვიდობის სადარაჯოზე ძალიან პრინციპულად დადგა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, **"ოკუპანტები ჩვენს ტერიტორიას ვერ შეინარჩუნებენ და ჩვენ გავიმარჯვებთ, თუ ერთად ვიქნებით და ძირს არ გამოვუთხრით საკუთარ თავს."**

პრეზიდენტი **"სრულიად დარწმუნებულია"** იმაში, რომ **"ჩვენ შევინარჩუნებთ მხარდაჭერას და მოვახდენთ ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას დემოკრატიულ დასავლურ სამყაროში, გავძლიერდებით და ჩვენს მეგობრებთან ერთად აუცილებლად გავაძევებთ დამპყრობელ ჯარებს ჩვენი ტერიტორიიდან."**

ბარაკ ობამას განცხადების კომენტირებისას საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა ყურადღება გაამახვილა აშშ-ს პრეზიდენტის იმ განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, საქართველოს საკითხზე მას და რუსეთის ლიდერს შორის **"გულწრფელი დიალოგი"** შედგა. **"დიპლომატიურ ენაზე ეს შეიძლება ცხარე კამათსაც ნიშნავდეს,"** - აღნიშნა დარჩიაშვილმა. მან ისიც აღნიშნა, რომ **"მედვედევმა ვერ მონახა სიტყვები, რათა რაიმე კონტრ-განცხადება გაეკეთებინა."**

**"თუ ვინმეს ეგონა, ობამა მედვედევს საქართველოდან ჯარების გაყვანას მოსთხოვდა და ის დათანხმდებოდა, ეს გულუბრყვილობა იქნებოდა. თუმცა ფაქტია, აშშ კვლავაც აფიქსირებს, რომ არსებულ რეალობას კანონიერად არ ცნობს,"** - განაცხადა, თავის მხრივ, ექსპერტმა ნიკა ვაშაკიძემ.



AFP ' 2009

ექსპერტმა გია ნოდიამ ობამას განცხადებას **"ცალსახა და მკაფიო გზავნილი"** უწოდა. **"შეერთებულმა შტატებმა არ დათმო თავისი პოზიციები საქართველოს საკითხში. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მივიღეთ საუკეთესო რეალისტური შედეგი, რაც შეიძლებოდა ამ შეხვედრას მოჰყოლოდა,"** - აღნიშნა ექსპერტმა.

ობამასა და მედვედევის გუშინდელი შეხვედრა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, რაც ორივე ლიდერმა კმაყოფილებით აღნიშნა. როგორც დმიტრი მედვედევმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ორი ქვეყნის ლიდერებმა დღის წესრიგის ყველა პუნქტი განიხილეს. თუმცა, მისი თქმით, აშშ-რუსეთის თანამშრომლობის ახლანდელი დონე **"ქვეყნების პოტენციალებს არ შეესაბამება"** და რუსეთის სურვილია, თანამშრომლობამ **"21-ე საუკუნის შესაფერის დონეს მიაღწიოს."** დღის წესრიგის მთავარ საკითხებს შორის მან ჩამოთვალა ახლო აღმოსავლეთის, ავღანეთისა და ბირთვული განიარაღების საკითხები. საქართველოს თემა მედვედევს არ უხსენებია, ეს მოგვიანებით ობამამ გააკეთა.

ორი ქვეყნის დელეგაციებმა გუშინ რამდენიმე დოკუმენტსა და განცხადებას მოაწერეს ხელი. პრეზიდენტებმა პირადად მოაწერეს ხელი დოკუმენტს სახელწოდებით **"სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შემდგომი შემცირებისა და შეზღუდვის საერთო გაგება."** დოკუმენტი, რომელსაც მხოლოდ დეკლარაციის ხასიათი აქვს, ადასტურებს ორივე მხარის სურვილს, უახლოეს მომავალში გააფორმონ ხელშეკრულება ბირთვული მუხტების თითქმის ორჯერ - 1500-1600 ერთეულამდე შემცირების შესახებ. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა რუსეთთან ურთიერთობაში ობამას ადმინისტრაციის უმთავრესი დეკლარირებული მიზანი გახდა. მხარეების ექსპერტები ამ საკითხზე დიდი ხანია ინტენსიურად მუშაობენ. თუმცა, ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი გუშინ არ დაზუსტებულა, მოქმედ ხელშეკრულებას კი ვადა უკვე დეკემბერში ეწურება. გუშინ მიღებული დეკლარაცია კი იურიდიულ ვალდებულებებს არ შეიცავს.

გარდა ამისა, რუსეთმა და აშშ-მ გუშინ ხელი მოაწერეს შეთანხმებას ავღანეთში რუსეთის გავლით ამერიკული სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის შესახებ, ასევე ჩარჩო დოკუმენტს შეიარაღებულ ძალებს შორის 2009 წლის ბოლომდე თანამშრომლობის შესახებ.

მოლაპარაკების შედეგად პრეზიდენტებმა ასევე მიიღეს ერთობლივი განცხადებები ავღანეთის საკითხში და ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ასევე "საპრეზიდენტო სამოქმედო გეგმა", რომელიც "თანამშრომლობის განვითარების ერთობლივი საპრეზიდენტო კომისიის" შექმნას ითვალისწინებს.

ის, რომ მხარეთა პოზიციები ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგების საკითხში კვლავ განსხვავებულია, პრეზიდენტებმა ერთობლივ ბრიფინგზე დაადასტურეს. თუმცა, ბარაკ ობამას განცხადებით, ამ საკითხზე მხარეებს შორის მსჯელობა გაგრძელდება.

განცხადება იმის შესახებ, რომ გუშინდელ მოლაპარაკებაზე ობამა და მედვედევი ნატო-ს გაფართოების საკითხსაც განიხილავდნენ, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა გააკეთა. მისი თქმით, ამერიკულმა მხარემ რუსეთის არგუმენტებს **"მოუსმინა"** და ეს პრობლემა კიდევ გახდება განხილვის საგანი.

პრესკონფერენციაზე ბარაკ ობამას მოუხდა პასუხის გაცემა ამერიკელი ჟურნალისტის კითხვაზე, თუ ვის მიიჩნევს რუსეთში **"მთავარი პასუხისმგებლობის მქონე ლიდერად"**- მედვედევსა თუ პუტინს? აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ენდობა პრეზიდენტ მედვედევს, **"რომელსაც შეუძლია მოსმენა და მოლაპარაკებების წარმოება და, რაც მთავარია, შეუძლია მიცემული დაპირებების შესრულება." "მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი მედვედევი ძალიან გულწრფელია და ჩვენ გამოვნახეთ ერთად მუშაობის შესაძლებლობა,"** - განაცხადა ობამამ და ისიც აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტი და პრემიერი ერთად **"ძალიან ეფექტურად მუშაობენ."**

ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა ბარაკ ობამას დღეს მოუწევს. დღესვე აშშ-ს პრეზიდენტი სიტყვით გამოვა რუსეთის ეკონომიკის უმაღლეს სკოლაში, სადაც კიდევ ერთხელ ვრცლად ისაუბრებს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

# განსხვავებული კომისია

პირველი გვერდიდან

"რესპუბლიკელ" ვახტანგ ხმალაძის (ის კომისიის ერთადერთი პარტიული წევრია) თქმით, **"ეს კომისია შემდგარია, ასე ვთქვათ, არაპარტიული სპეციალისტებისგან, კონსტიტუციონალისტებისგან. ამდენად, მათი ხედვა დამყარებულია არა რომელიმე პარტიის, არამედ ზოგად შეხედულებებზე."**

საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში 18 წევრია, გარდა ამისა, კომისიაში არის რამდენიმე სამუშაო ჯგუფი და მათ მიერ არჩეული კოორდინატორები. კომისია იკრიბება რეგულარულად, კვირაში ერთხელ. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისგან განსხვავებით, მას არ ჰყავს თავმჯდომარე. ვახტანგ ხმალაძის თქმით, **"საკონსტიტუციო ცვლილებების ვარიანტი წარედგინება, პირველ რიგში, პოლიტიკურ პარტიებს და იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კონსტიტუციონალიზმით და ადამიანის უფლებებით."** საზოგადოებრივი კომისია კონსტიტუციის კონცეპტუალური მოდელის დასრულებას სექტემბრის ბოლოსთვის გეგმავს.

საზოგადოებრივი კომისია აპირებს კონსტიტუციის გადასინჯვის მოდელის მომზადებას. კომისიამ ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების მოწყობის შესახებ კონცეფცია პრაქტიკულად კონსენსუსის წესით შეათანხმა. ეს ითვალისწინებს სახელმწიფოს მოწყობის მოდელს, რომელშიც საკანონმდებლო ხელისუფლება მთლიანად პარლამენტს ეკუთვნის, აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობას, პრეზიდენტი კი არის სახელმწიფოს მეთაური, სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლო და სახელმწიფო ხელისუფლებათა შორის ურთიერთობის და ასევე ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის არბიტრი.

ამავე დროს, "ალიანსი საქართველოსთვის" მომხრეა, რომ კონსტიტუციაში საარჩევნო კანონმდებლობის უმთავრესი პრინციპები აისახოს. ხმალაძის თქმით, საჭიროა კონსტიტუციაში ჩაიწეროს, თუ ვინ უნდა უზრუნველყოს არჩევნების ადმინისტრირება. **"პაკეტის მომზადების შემდეგ კომისია ყველაფერს გააკეთებს, რათა არგუმენტირებული ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენი საზოგადოების რაც შეიძლება მეტ ნაწილს,"** - განმარტა ხმალაძე. მომზადებული ცვლილებების მოდელი ასევე ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისთვის. მისი მხრიდან სერიოზული თანამშრომლობის სურვილის არსებობის შემთხვევაში, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია მზად არის, მჭიდრო კავშირი ჰქონდეს სახელმწიფო კომისიასთან.

"24 საათთან" საუბარში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანმა თენგიზ შარმანაშვილმა საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. **"ჩვენ იმთავითვე განვაცხადეთ, რომ ჩვენი მხრიდან ყველა იმ ჯგუფთან თანამშრომლობას, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესახებ კონკრეტული წინადადებები ან წინადადებათა პაკეტი ექნება, წინ არაფერი დაუდგება, სახელმწიფო კომისია მათ წინადადებებს სერიოზულად შეისწავლის და მათი საჯარო განხილვები იქნება,"** - აღნიშნა შარმანიშვილმა. "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წევრი თენგიზ შარმანიშვილი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიაში პროფესიონალები არიან.

## ტალიავინის კომისიის დასკვნის გადავადების საკითხი გაურკვეველია

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნის ორი თვით გადავადების შესახებ კომენტარი გააკეთა. ნალბანდოვის განცხადებით, დასკვნის ორი თვით გადავადებასთან გადაწყვეტილება საბოლოოდ მიღებული არ არის და ამის შესახებ მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც აღნიშნულ საკითხს ევროკავშირის კომიტეტი განიხილავს.

"ეს საკითხი ევროკავშირის მინისტრთა კომიტეტმა უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს. ტალიავინმა გააკეთა განმარტება, რომ დოკუმენტაციის გაცნობას დამატებითი დრო სჭირდება. ის დასკვნა, რომლის წარმოდგენასაც კომისია აპირებს, იქნება სრული, ამომწურავი და, რაც მთავარია, ობიექტური," - განაცხადა ალექსანდრე ნალბანდოვმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ცაგარეიშვილი და ბაღათურია ხელისუფლების ინიციატივას აპროტესტებენ

"ხელისუფლება იმ ტყვიის დაკანონებას ცდილობს, რომლითაც ადამიანს თვალი ამოსთხარეს," - ეს განცხადება გიორგი ცაგარეიშვილმა გუშინ პარლამენტში "ხალხის ტრიბუნის" ეგიდით გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. ცაგარეიშვილმა გააპროტესტა კანონპროექტთა ის პაკეტი, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილების შეტანას და ასევე პოლიციისათვის დამატებითი უფლებების მინიჭებას ითვალისწინებს.

ცაგარეიშვილთან ერთად ბრიფინგზე იმყოფებოდა ირაკლი ხომასურიძე, რომელმაც 6 მაისს თბილისის პოლიციიის მთავარი სამმართველოს შენობასთან მომხდარი ინცინდენტის დროს ერთ თვალში მხედველობა 100 პროცენტით დაკარგა.

მას თვალი დაუზიანა პლასტმასის ტყვიამ, რომლის გამოყენების უფლება იმ დროს პოლიციას არ ჰქონდა. ხომასურიძის განცხადებით, იგი ინცინდენტის შემდეგ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ ირაკლი გიორგობიანმა მთავრობის ხარჯებით ავსტრიაში წაიყვანა სამკურნალოდ, თუმცა ავსტრიელმა ექიმებმა ვერ უშველეს.

"ხელისუფლების ეს ქმედება მიუთითებს იმაზე, რომ მათი მხრიდან სწორედ კანონის დარღვევას ჰქონდა ადგილი და მისი სამკურნალოდ წაყვანა დანაშაულის აღიარებას ნიშნავს. ახლა კი უნდათ, ცვლილება კანონში შეიტანონ და მსგავსი ბარბაროსული ქმედებები კანონით გაამართლონ," - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

დეპუტატი ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, ხელისუფლებას არ მისცენ აღნიშნული ცვლილების განხორციელების საშუალება.

ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ ირაკლი ხომასურიძეს გაუწევენ იურიდიულ დახმარებას, რათა მან ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელი ევროპულ სასამართლოში შეიტანოს.

იურიდიული კომიტეტის მიერ მომზადებული ინიციატივას, რომელიც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილების შეტანას ითვალისწინებს, ჯონდი ბაღათურიაც აპროტესტებს. ეს არის "პირდაპირი სვლა ფსევდოდემოკრატიიდან დეკლარირებული ავტორიტარიზმისაკენ," - განაცხადა ქართული დასის ლიდერმა.

ბაღათურია განსაკუთრებით აკრიტიკებს ადმინისტრაციული პატიმრობის ვადის 30 დღიდან 90 დღემდე გაზრდას და ასევე იმ ცვლილებას, რომლის თანახმად აქციის ჩატარების წესის დარღვევის შემთხვევაში მონაწილე 1000 ლარით დაჯარიმდება.

"ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში აქცია და მიტინგი საერთოდ აღარ ჩატარდება. ეს არის პირდაპირიო წინააღმდეგობა სიტყვის და აზრის თავისუფლებისა და მსგავსი რამ მხოლოდ ფაშისტურ და კომუნისტური რეჟიმების დროს თუ მოხდა. ასეთი რამ პინოჩეტსაც კი არ გაუკეთებია" - აცხადებს ჯონდი ბაღათურია.

მისი თქმით, ქართული დასი ამ ცვლილებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება და იმედოვნებს, რომ პარლამენტში დეპუტატების მხრიდან სათანადო რეაგირება მოყვება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საგამოცდო ნაშრომების გასწორება დაიწყო

7 ივლისს 14:00 საათზე მედიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ექნებათ, საგამოცდო ნაშრომების გასწორების პროცესს დაესწრონ.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ნაშრომების გასწორების პროცესი 6 ივლისს დაიწყო.

2008 წელს საგამოცდო ნაშრომები პირველად გასწორდა ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილი კომპიუტერული პროგრამით. ამ სიახლემ შესაძლებელი გახადა გასწორების პროცესში საქართველოს რეგიონების წარმომადგენლების ჩართვა საკუთარი რაიონიდან გაუსვლელად.

2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის გამსწორებლები კონკურსის წესით შეირჩნენ.

კონკურსის შედეგად საგამოცდო საგნების 379 გამსწორებელი საქართველოს 18 ქალაქიდან და რაიონიდან (ქუთაისი, საგარეჯო, წალენჯიხა, თბილისი, რუსთავი, ხულო, ახალციხე, ხონი, ოზურგეთი, ბათუმი, ბაღდათი, ზესტაფონი, ბორჯომი, თიანეთი, თელავი, გორი, ხაშური, მცხეთა, თბილისი) შეირჩა. კონკურსის შედეგად შერჩეულმა სპეციალისტებმა საგანგებო ტრენინგები გაიარეს. ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ნაშრომებს 130 სპეციალისტი გაასწორებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლეიბორისტების" მოწოდება ობამასა და მედვედევისადმი

საქართველოს "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი აცხადებს, რომ საქართველოს თავს დატეხილი ყველა ტრაგედია რუსეთ-ამერიკის ბრძოლით არის გამოწვეული.

როგორც "ლეიბორისტული პარტიის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა განაცხადა, "ლეიბორისტული პარტიის" მიზანია, საქართველო ორი ზესახელმწიფოსთვის თანამშრომლობისა და მეგობრობის არეალად გადაიქცეს.

"ლეიბორისტების" ლიდერი მოუწოდებს რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტებს, არ ჩაერიონ საქართველოს შიდა საქმეებში და მისცენ ქართველ ხალხს შესაძლებლობა, თავად გადაწყვიტოს საკუთარი ქვეყნის ბედი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები ესპანეთში დაისვენებენ

აფხაზეთის მთავრობისა და ფონდ FINSOL-ის ორგანიზებით, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები გუშინ ესპანეთში დასასვენებლად გაემგზავრნენ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი დევნილი ბავშვები კერძო ოჯახებსა და საზაფხულო ბანაკებში იცხოვრებენ.

პროექტის "ბავშვთა ინტეგრაცია და სოლიდარობა" ფარგლებში დევნილი ბავშვებისათვის სხვადასხვა სახის ღონისძიებების გამართვა იგეგმება, რომლის მიზანია მოზარდების ინტეგრაცია საზოგადოებასთან და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

27-მდე დევნილი მოზარდი მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახებიდან შეირჩა. აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები ესპანეთიდან 31 აგვისტოს დაბრუნდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დღეს "ტკივილის მართვის ცენტრი" გაიხსნება

დღეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი "ტკივილის მართვის ცენტრს" გახსნის. ამ ტიპის მრავალპროფილური და მულტიმოდალური კლინიკა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ერთადერთია.

"ტკივილის მართვის ცენტრში" (SEU-PMC) მაღალკვალიფიციური სპეციალისტები იმუშავებენ, რომელთაც ტრეინინგები ისრაელში, ავსტრიასა და აშშ-ში აქვთ გავლილი.

კლინიკა უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებითა და პაციენტთა უსაფრთხოების საშუალებებით არის აღჭურვილი. სამედიცინო ცენტრი ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპისა და ეტიოლოგიის ქრონიკული და მწვავე ტკივილის მართვას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ახლო მომავალში კლინიკაში ტკივილის მართვისა და შემდგომი რეაბილიტაციისთვის საჭირო ახალი ტექნოლოგიები დაინერგება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## რუსეთი "კავკასია 2009"-ით კმაყოფილია

"სამხედროებმა სამხედრო წვრთნა "კავკასია 2009"-ის ფარგლებში ყველა საბრძოლო ამოცანას თავი ჩინებულად გაართვეს და ყველა დასახულ მიზანს მიაღწიეს," - ეს განცხადება ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა ანდრეი ბობრუნმა საგანგებოდ მოწყობილ პრესკონრეფერენციაზე გააკეთა.

"აღნიშნული სამხედრო სწავლებების მიზანი არმიის ბრძოლისუნარიანობის რეალური მდგომარეობის შემოწმება იყო. სწავლების განმავლობაში სამხედროებმა ყველა მიზანს მიაღწიეს და ყველა ამოცანა შეასრულეს," - აცხადებს ბობრუნი.

მისი თქმით, სამხედრო სწავლებები რეალურ საბრძოლო მოქმედებებთან მაქსიმალურად მიახლოებული იყო.

ცნობისათვის - საბრძოლო სწავლება "კავკასია 2009"-ში 8,5 ათასი სამხედრო მონაწილეობდა. სწავლებაში ჩართული იყო, დაახლოებით, 200 ტანკი და 450 ჯავშანმანქანა. სწავლებებს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი, გენერალი ნიკოლაი მაკაროვი ხელმძღვანელობდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ანკარაში "ნაბუკოს" შესახებ ხელშეკრულებას მოეწერება ხელი

13 ივლისს თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაზსადენ "ნაბუკოს" მშენებლობის შესახებ მთავრობათაშორის ხელშეკრულებას მოეწერება ხელი. როგორც უცხოური მედია იუწყება, ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ თურქეთი, ავსტრია, ბულგარეთი, უნგრეთი და რუმინეთი.

"ნაბუკოსთვის" ენერგომატარებლების მიმწოდებლებად თურქმენეთი, უზბეკეთი, ირანი და ერაყი სახელდებიან.

გაზსადენი ევროპაში გაზის მიწოდების მნიშვნელოვან წაროდ უნდა იქცეს. იგი საქართველოსა და აზერბაიჯანზე გაივლის. გაზსადენის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2011 წელს დაიწყება. 3,3-ათასკილომეტრიანი მაგისტრალის სიმძლავრე წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრის გამტარიანობა იქნება.

ანკარა მოითხოვს, რომ ტრანსპორტირებული გაზის 15 პროცენტი ქვეყანაში შიდა მოხმარების ან რეექსპორტისთვის იქნეს გამოყენებული. თუმცა ჯერჯერობით უცნობია, დათანხმდება თუ არა ევროკავშირი თურქეთის ამ მოთხოვნას. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ბულგარეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგები

მარიკა იაშვილი



AFP ' 2009

*პრემიერ-მინისტრის პოსტს ბოიკო ბორისოვი დაიკავებს*

ბულგარეთში კვირას ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა მემარჯვენე ცენტრისტულმა პარტიამ "მოქალაქეები ბულგარეთის ევროპული განვითარებისთვის". პარტიამ, რომელსაც სოფიას მერი ბოიკო ბორისოვი, უდგას სათავეში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, ამომრჩეველთა ხმების 39.7 პროცენტი მოიპოვა.

სოციალისტურმა "კოალიციამ ბულგარეთისთვის," რომელიც ქვეყნის მმართველი პარტია იყო, ხმათა 17.72 პროცენტი მიიღო; "მოძრაობამ უფლებებისა და თავისუფლებისთვის" - 14.47 პროცენტი; "ულტრანაციონალურმა პარტიამ" - 9.37 პროცენტი; "ლურჯმა კოალიციამ" - 6.73 პროცენტი: პარტიამ "წესრიგი, კანონიერება და სამართალი" - 4.13 პროცენტი; ხოლო პარტია "ეროვნული მოძრაობა სამართლიანობისა და პროგრესისათვის" პარლამენტში ვერ მოხვდა.

არჩევნების შედეგების მიხედვით, ბულგარეთში მემარჯვენე ცენტრისტული მთავრობა ჩამოყალიბდება. პრემიერ-მინისტრის პოსტს ბოიკო ბორისოვი დაიკავებს. ბორისოვმა და "ლურჯი კოალიციის" ლიდერებმა ივან კოსტოვმა და მარტინ დიმიტროვმა უკვე განაცხადეს, რომ მზად არიან, ბულგარეთის ეროვნულ კრებაში უმრავლესობის სტაბილური კოალიცია ჩამოაყალიბონ.

ბულგარეთის "სოციალისტური პარტია", რომელსაც სერგეი სტანიშევი უდგას სათავეში, ახლა ოპოზიციაში გადავა. ქვეყნის მართვის სისტემაში კი უახლოეს პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოხდება. ბულგარეთის განვითარების ყველა პრიორიტეტული ორგანო რევიზიას გაივლის.

საარჩევნო კამპანიის დროს სერგეი სტანიშევი თავისი მთავრობის მიერ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხში მიღწეულ წარმატებაზე აპელირებდა, თუმცა არჩევნებში გამარჯვებას მაინც თავიდანვე ბორისოვს უწინასწარმეტყველებდნენ, რომელიც ქვეყანაში კორუფციისა და კრიმინალის პრობლემებზე მიუთითებდა. შედეგად, სტანიშევის პარტიამ არჩევნები წააგო.

ევროკავშირი, რომელშიც ბულგარეთი 2007 წელს გაწევრიანდა, ქვეყნის წარმატებას კორუფციასთან ბრძოლაში ძალზე კრიტიკულად აფასებს. გასულ წელს მექრთამეობასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში მთავრობის მიერ გამოჩენილი უუნარობის გამო ბულგარეთს ორგანიზაციის ფონდების ნაწილთან მოუხდა გამომშვიდობება.

"სოციალისტები" ბევრად უფრო ლოიალურები იყვნენ რუსეთის მიმართ, ხოლო ახალი მთავრობა, ექსპერტთა აზრით, ევროკავშირთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას ეცდება. არ არის გამორიცხული მათ უარი თქვან ნატო-ს გაფართოების წინააღმდეგ გამოსვლაზე და ენერგეტიკის სფეროში რუსული პროექტები შეაჩერონ.

# ირანი - არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო სასულიერო პირები

მარიკა იაშვილი

ქვეყანაში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა, - აცხადებს ირანელ სასულიერო პირთა და მეცნიერთა ნაწილი.

ამგვარად მათ გამოიწვიეს სამეურვეო საბჭო - ირანის მთავრი საკანონმდებლო ორგანო, რომელმაც მაჰმუდ აჰმადინეჯადის პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით არჩევა გასულ კვირას ოფიციალურად დაადასტურა.

ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი აკბარ ჰაშემი რაფსანჯანი აცხადებს, რომ ირანში არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები ღრმა მწუხარებას იწვევს.

ამავე დროს დიდი ბრიტანეთი უკვე ოფიციალურად აცხადებს, რომ გაერთიანებული საელჩოს დაკავებული ორი თანამშრომლიდან ერთ-ერთი გათავისუფლებულია. ბრიტანეთის დიპლომატიური მისიის ირანელ თანამშრომლებს "პროტესტისკენ წაქეზება" ედებოდათ ბრალად. ერთი მათგანი ჯერჯერობით კვლავ ციხეში რჩება.

საპრეზინდეტო არჩევნების შემდეგ ირანის ქუჩებში ასობით ადამიანი გამოვიდა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ არჩევნები გაყალბდა.

საპროტესტო აქციები მხოლოდ მას შემდეგ ჩაწყნარდა, რაც ხელისუფლებამ ძალა გამოიყენა. ამას კი, სულ მცირე, 20 ადამიანის გარდაცვალება, ათასზე მეტის დაპატიმრება მოჰყვა.

ამ დროისთვის, ქვეყნის პოლიციის მეთაურის განცხადებით, დაკავებულთა ორ მესამედზე მეტი უკვე გათავისუფლებულია.

თეირანის ხელისუფლება დასავლეთს, განსაკუთრებით კი დიდ ბრიტანეთს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით ხალხის საპროტესტო აქციების ჩატარებისკენ წაქეზებაში ადანაშაულებს. ამის გამო ქვეყნის მოსახლეობის ნაწილს სატელისტური ანტენებიც კი ჩამოართვეს, რომელთა მეშვეობითაც ირანელები უცხოურ არხებს უყურებდნენ.

როგორც ირანის მთავარი იურიდიული უწყების ხელმძღვანელი მაჰმუდ ჰაშემი-შაჰრუდი აღნიშნავს, **"პირებს, რომლებიც ამ არხებსა და საიტებთან თანამშრომლობენ, პასუხისმგებლობა დაკისრებათ."**

სასულიერო პირების ნაწილი, რომლებიც არჩევნების შედეგების წინააღმდეგი არიან, მიუთითებენ, რომ სამეურვეო საბჭოს აღარ აქვს უფლება, "მსაჯულები იყვნენ."

მათი თქმით საბჭომ მოსახლეობის თვალში **"მიუკერძოებელი ორგანოს რეპუტაცია დაკარგა."**

**"როგორ შეიძლება არჩევნების შედეგების ლეგიტიმურად ცნობა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ასე სამეურვეო საბჭო აცხადებს. შეძლებს კი კანონის დარღვევის შედეგად ჩამოყალიბებული მთავრობა ლეგიტიმური იყოს?"** - სვამენ კითხვას განცხადების ავტორები.

სამეურვეო ანუ კონსტიტუციის დამცველთა საბჭო 12 წევრისგან შედგება - მათგან ექვსი სასულიერო პირია, რომლებსაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება ნიშნავს, ექვსი კი იურისტი.

ეს განცხადება კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ განხეთქილება ირანის სულიერ და საერო ხელისუფლების უმაღლეს წრეებშიც არსებობს.

ეს არის ირანის უმაღლეს ლიდერ აიათოლა ალი ჰამენეისადმი დუმორჩილებლობის ფაქტი.

ზოგიერთი სასულიერო პირი აღნიშნავს, რომ სამეურვეო საბჭომ დმარცხებული კანდიდატების მირ ჰოსეინ მუსავისა და მეჰდი ქარუბის მიერ შეტანილი საჩივრების განხილვას საკმარისი ყურადღება არ დაუთმო. ისინი ყველა სასულიერო პირს მოუწოდებენ, ჩატარებული არჩევნები და ახალი მთავრობა უკანონოდ გამოაცხადონ.

ეს არ არის ქვეყანაში არჩევნების გამო ღიად დაფიქსირებული პირველი განხეთქილება. აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა პარლამენტის წევრებს შორისაც არსებობს. ამის დასტური ის ფაქტი იყო, რომ აჰადინეჯადის გამარჯვების აღსანიშანვად გამართულ საზეიმო საღამოზე, სადაც მეჯლისის ყველა წევრი იყო დაპატიჟებული, 105 დეპუტატი არ გამოცხადდა.

გავლენიანი პოლიტიკოსი რაფსანჯანი აცხადებს, რომ ქვეყანაში დღეს არსებული მდგომარეობით ვერ იქნება კმაყოფილი ვერც ერთი ადამიანი, "რომლის სინდისსაც არ სძინავს." ეს რაფსანჯანის მიერ ამ საკითხზე გაკეთებული პირველი სახალხო განცხადება იყო.

**"იმედი მაქვს, რომ უახლოეს რამდენიმე დღეში ყველა საკითხი გადაწყდება და სიტუაცია გაუმჯობესდება... ჩვენ იმაზე უნდა ვიფიქროთ, როგორ დავიცვათ სისტემის გრძელვადიანი ინტერესები,"** - განაცხადა მან.

ექსპერტების აზრით, რაფსანჯანის გამოსვლა შესაძლოა იმას ნიშნავდეს, რომ კულისებს მიღმა გარკვეული პროცესები მიმდინარეობს, რასაც ირანში დღეს არსებული კრიზისის გადაწყვეტა შეუძლია.

CMYK - 5



# მაიკლის უკანასკნელი შოუ





დღეს ფანები მაიკლ ჯექსონს გამოეთხოვებიან. თუმცა, ცერემონიალს, რომელიც ლოს ანჯელესის სტეპლს-ცენტრში მოეწყობა, ამ შემსრულებლის თაყვანისმცემლებიდან მხოლოდ ისინი დაესწრებიან, რომლებსაც გაუმართლებთ.

საქმე იმაშია, რომ მაიკლ ჯექსონთან "გამოთხოვების" ორგანიზატორებმა ამ ცერემონიალზე დასასწრებად გაათამაშეს ლატარეა, რომელშიც შემთხვევითი გადარჩევის მეთოდით სულ 8 750-მა ადამიანმა გაიმარჯვა. გუშინ თითოეულ მათგანს ორ-ორი უფასო ბილეთი გადაეცა. თუმცა, ამ გათამაშებაში წარმატებული მონაწილეობის შესახებ შეტყობინება მათ კვირას ელექტრონული ფოსტით მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ "პოპ-მუსიკის მეფესთან" გამოთხოვების სურვილი 8750-ზე გაცილებით მეტმა, დაახლოებით, 1,6-მა მილიონმა ადამიანმა გამოთქვა. და მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველანაირად ცდილობენ არ გამოტოვონ ცერემონია, რომელიც დღეს, კალიფორნიის დროით, დილის 10 საათზე (გრინვიჩის დროით - 17 საათზე) დაიწყება, ბევრს ამ მოვლენისთვის თვალის დევნება იქვე, დახურულ მოედანზე დამონტაჟებული ეკრანის საშუალებით მოუწევს. ლოს ანჯელესის პოლიციამ უბილეთოდ დარჩენილი ჯექსონის თაყვანისმცემლები გააფრთხილა, რომ დღეს ისინი სტეპლს-ცენტრს ვერც კი მიუახლოვდებიან - ამ შენობის წინ განთავსებული რამდენიმე კვარტალი გადაკეტილი იქნება. ლოს ანჯელესის მერმა, ჯენ პერმა კი მუსიკოსის ფანებს მასთან გამოსათხოვარი ცერემონიალის ნახვისკენ სახლებში, პირდაპირი ეთერის საშუალებით, მოუწოდა.

ამის პარალელურად, რა ხდება ჰიტ-პარადებში? დიდი ბრიტანეთის საუკეთესო 40 სინგლს შორის ჯექსონის სიმღერებს მეცამეტე პოზიცია უკავია. ამ შემსრულებლის დისკებს ყველაზე კარგი ალბომების "ათეულში" ადგილების ნახევარი უჭირავს. ჯექსონის დისკი, სახელწოდებით The Essential, უმალ მეცხრამეტე პოზიციაზე მოექცა და ყველაზე გაყიდვადი ფირფიტა გახდა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დიდი ბრიტანეთის ყველაზე უკეთ გაყიდვად ალბომებს შორის მაიკლის ერთდროულად 5 დისკი მოხვდა. კომპოზიციამ Man in the Mirror, რომელიც მომღერალმა 1988 წელს ჩაწერა, სინგლებში მეთერთმეტე ადგილიდან მეორეზე გადაინაცვლა. ყველაზე პოპულარული სიმღერების ოცეულში შესულია ასევე კომპოზიციები: Billie Jean, Thriller, Smooth Criminal და Beat It. პირველ ათეულში მოხვედრილი ერთი შემსრულებლის სინგლების რაოდენობით ჯექსონმა გაიმეორა რუბი მიურეის რეკორდი, რომელიც მან 1955 წლის მარტში დაამყარა.

ამ ცოტა ხნის წინათ კი მაიკლ ჯექსონის შემოქმედებით მემკვიდრეობას ახალი ვიდეოჩანაწერი შეემატა, რომელიც ამ შემსრულებლის მიერ ლონდონში დაგეგმილი შოუს ორგანიზატორებმა აღმოაჩინეს. ის მომღერლის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრეა გადაღებული. ეს ჩანაწერი მომღერლის ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს, ეწინააღმდეგება, რამდენადაც მასზე აღბეჭდილი შემსრულებელი საოცრად ენერგიულად გამოიყურება. ჯექსონის გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ ეს ვიდეოჩანაწერი მისი ფანებისათვის შეუფასებელ მემკვიდრეობად იქცა.

"ვფიქრობ, რომ მისი დაბრუნება მუსიკაში ტრიუმფალური იქნებოდა. თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი შოუ ლონდონში უზარმაზარ დარბაზში, სახელწოდებით O2, იგეგმებოდა, ბევრისმთქმელია. ამ შოუზე დასასწრები ბილეთები, შეიძლება ითქვას, რომ სულ რამდენიმე საათში გაიყიდა. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ამ კონცერტებზე...", - განაცხადა პოპულარული ამერიკული შოუს, "ამერიკული კუმირის", ჟიურის წევრმა.

"მაიკლი იყო პერფექციონისტი. მას შესვენების გარეშე მუშაობა 48, 72 საათი შეეძლო... ის დილის 3 საათზე მირეკავდა და მეკითხებოდა, გავყიდეთ თუ არა მომდევნო ალბომის 100 მილიონი ასლი. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ის იყო პერფექციონისტი და სხვებისგანაც ამავეს მოითხოვდა", - ამბობს ცნობილი პროდიუსერი ტომი მოტოლა, რომელსაც ერთხელ ჯექსონმა რასისტი უწოდა.

დღეს, როდესაც მიაკლ ჯექსონის თაყვანისმცემლები მომღერლის გამოსათხოვარ ცერემონიალზე მოსახვედრად ემზადებიან, კიდევ უფრო მეტს საუბრობენ იმაზე, რომ ჯექსონი ისტორიული ფიგურა იყო, რომლის წყალობითაც საზოგადოება დიდი გაგებითა და თანადგომით მოეკიდა შავკანიან არტისტს და ნიჭიერ შემსრულებელს.

# ორი წლის "მუზა"

## კლასიკური მუსიკის რადიომ დაბადების დღე აღნიშნა

ია ვეკუა

თუ თქვენს რადიომიმღებს FM 95.9-ზე მომართავთ, სავარძელში მყუდროდ მოკალათდებით და სასიამოვნო განწყობის მისაღებად განეწყობით, აუცილებლად კლასიკური მუსიკის მოყვარული ხართ, რადგან აღნიშნულ დიაპაზონზე მხოლოდ ამ ჟანრის მუსიკის მოსმენაა შესაძლებელი - რადიო "მუზა" საქართველოში ერთადერთი და როგორც ირკვევა პირველი კლასიკური მუსიკის რადიოა. რამდენიმე დღის წინ რადიო ორი წლის გახდა, დაბადების დღე კი ცხადია კლასიკური მუსიკის თანხლებით და ზოგადად კლასიკურ ატმოსფეროში აღნიშნა.

კლასკური მუსიკა მთელ მსოფლიოში იმაზე ნაკლები პოპულარობით სარგებლობს, ვიდრე მუსიკის თანამედროვე ჟანრები. ასეა ჩვენთანაც, თუმცა თავად ის ფაქტი, რომ კლასიკური მუსიკისთვის მაინც გამოინახა სიხშირე, უკვე მეტყველებს, რომ მსმენელიც არსებობს. როგორც "მუზას" გენერალური მენეჯერი, შორენა კოპალეიშვილი ამბობს, მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად ამ რადიოს ქვეყნის მოსახლეობის 2-3 პროცენტი უსმენს. "მსმენელის რაოდენობა მხოლოდ ერთ პროცენტსაც რომ შეადგენდეს, ამითაც კმაყოფილები ვიქნებოდით", - ამბობს იგი.

რით შეიძლება "მუზა" მსმენელისთვის საინტერესო იყოს: თუ რადიოს პროგრამას გადახედავთ, მივხვდებით, რომ ის მხოლოდ ჩანაწერების გადაცემით არ შემოიფარგლება და რამდენიმე საავტორო გადაცემასაც აერთიანებს. მაგალითად გია ბუღაძის გადაცემა "ტონდო". როგორც წამყვანი თავისი გადაცემის ანოტაციაში ამბობს: "ხელოვნება ეს ის სფეროა ადამიანის საქმიანობისა, რომელშიც ადამიანი საკუთარ თავს ყველაზე ამაღლებული ფორმით გამოხატავს. ეს არის ერთგვარი თამაშის ფორმა თუ სახე, სადაც ადამიანი პირდაპირ ეხება თავისუფლების განცდას, იმ თავისუფლების განცდას, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ნაკლებად განიცდება. რიჰარდ ვაგნერი ამბობდა: "ხელოვნება იწყება იქ, სადაც მთავრდება ცხოვრება" - ეს იმას ნიშნავს, რომ ემპირიული, ყოველდღიური სიმძიმე, რეალური თავისუფლებით დაიძლევა, ეს კი უკვე ხელოვნებით ცხოვრებას ან ხელოვნებაში ცხოვრებას ნიშნავს. დაახლოებით ამ გრძნობას თუ განცდას მინდა შევეხო გადაცემაში "ტონდო".

საკუთარი გადაცემა აქვს კონსერვატორიის სპეციალური ფორტეპიანოს კათედრის პროფესორ რევაზ თავაძესაც. გადაცემაში "საუბრები პიანიზმის ისტორიაზე" ავტორი მსმენელს საფორტეპიანო მუსიკის ტრადიციების, შემსრულებლებისა და მათ თავისებურებების შესახებ მოუთხრობს. გადაცემის მსვლელობისას კი ცხადია არა ერთი საფორტეპიანო ნაწარმოებიც ჟღერს.

კვირაში ერთხელ, ოთხი საათის განმავლობაში ასევე შეგიძლიათ საქართველოს პირველი ლედის საავტორო გადაცემის მსმენელადაც იქცეთ. საინტერესოა ისიც, რომ სანდრა რულოვსი თავად გახლავთ რადიო "მუზას" დამფუძნებელი, რომელმაც ეს პროექტი ჰოლანდიელი პარტნიორების დახმარებით განახორციელა. პარალელურად პირველი ლედი საქართველოში კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაციასაც ხელმძღვანელობს, რომლის პირველი და ყველაზე დიდი პროექტი აღნიშნული რადიოა. ასოციაცია დახმარებას უწევს გუნდებისა და ორკესტრების საქმიანობას, გააჩნია სტიპენდიების პროგრამა ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსებისათვის და ხელს უწყობს ჩასაბერი ინსტრუმენტების პოპულარიზაციას, აგრეთვე ორგანიზებას უწევს საზაფხულო ბანაკების, ფესტივალებისა და მასტერკლასების ჩატარებას.

როგორც გითხარით, რადიო "მუზამ" მაუწყებლობა ორი წლის წინ დაიწყო. მიმდინარე წლის თებერვლიდან კი თბილისის მასშტაბებს გასცდა და ახლა უკვე ქვეყნის ათ რეგიონში მაუწყებლობს. გარდა ამისა, მსმენელს საშუალება აქვს ინტერნეტ საიტის მეშვეობით მის ეთერს 24 საათის განმავლობაში ონლაინ რეჟიმში უსმინოს. "გადაიცემა არა მხოლოდ ცნობილი ორკესტრების მიერ გაკეთებული ჩანაწერები, არამედ კონცერტების პირდაპირი ტრანსლაციაც. მაგალითად ცოტა ხნის წინ თბილისში გამართული ელისო ბოლქვაძის კონცერტის მოსმენა ჩვენს მსმენელს პირდაპირი ტრანსლირებით შეეძლო", - ამბობს შორენა კოპალეიშვილი.

კლასიკური მუსიკის გარდა რადიოს ეთერით ქართული ფოლკლორი და ჯაზიც გადაიცემა - ანუ ის, რაც თავისთავად უკვე წარმოადგენს კლასიკას. მომავალი მსმენელის გაზრდის მიზნით რადიოს აქვს პროექტი "საბავშვო მუზა". როგორც სახელწოდებიდან ხვდებით, გადაცემა მთლიანად პატარების კლასიკური მუსიკით ინფორმირებას და მათთვის გასაგები ენით ახსნას ითვალისწინებს. უახლოეს მომავალში კი "მუზას" მსმენელი მსოფლიოს საუკეთესო ორკესტრების მიერ გაკეთებულ უახლეს ჩანაწერებსა და ანალოგიური ფორმატის მქონე უცხოური რადიოების გადაცემებსაც მოისმენს.






CMYK - 5

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი



ინტერვიუ 29

# მუშა ანზორ ბოქულაძე

ჩვენი სტუმარია მუშა ანზორ ბოქულაძე. ბატონი ანზორ ბოქულაძე რამდენიმე თვეა სამშენებლო სამუშაოებითაა დაკავებული. კერძოდ, ბათუმში სასტუმროს მშენებლობაზე ღვრის ოფლს. რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტ სააკაშვილის ცნობილი ბრიფინგის შემდეგ, მუშა აზორ ბოქულაძე ცნობადი სახე გახდა. საქმე ისაა, რომ მთელი ბრიფინგის განმავლობაში მუშა ანზორ ბოქულაძე პრეზიდენტის ზურგს უკან მუშაობდა (კარგი გაგებით). საინტერესოა მისი აზრი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. რა თქმა უნდა, ობამა-მედვედევის შეხვედრაც არ დაგვრჩა უყურადღებოდ.

**ბასა ჯანიკაშვილი** - ბატონო ანზორ ბოქულაძე, გასულ კვირას თქვენ ცნობადი სახე გახდით. რა გრძნობაა ეს?

**ანზორ ბოქულაძე** - ეს კარგი გრძნობაა. რა ვიცი, ჯერჯერობით მაღაზიაში არ მიკლებენ ფასებს. ქუჩაში კი მცნობენ და მაგინებს ყველა.

**ბ.ჯ.** - ვერ მივხვდი? რატომ გაგინებენ?

**ა.ბ.** - რა ვიცი აბა, მცნობენ და დედის ტრკს მაგინებენ. მე მეგონა ცნობილი სახე იმას ნიშნავს, რომ ყველას უნდა უყვარდესო. რავი, მე მაგათი გამზრდელი დდტრკმვტყნ.

**ბ.ჯ.** - იმედი მაქვს, ხალხი მიხვდება, რომ თქვენ უბრალოდ მუშაობდით პრეზიდენტის ზურგს უკან. მუშაობაში თავისთავად ცუდი არაფერია. რას ფიქრობთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე?

**ა.ბ.** - რას ვფიქრობ და სანამ ცნობადი სახე გავხდებოდი პრეზიდენტისკენ ვიყავი, მერე მითხრეს, რომ ყველა ცნობადი სახე ოპოზიციაშიაო და მეც გადმოვედი მანდითკენ. სანამ მშენებლობა დაიწყებოდა პრეზიდენტს შევხვდი.

**ბ.ჯ.** - რას მელაპარაკებით? მერე, რაო ვითომ, რა მინდაო პრეზიდენტმა?

**ა.ბ.** - რაო და ავაშენებთ ქვეყანასო და მთებს გადავდგამთო. მე ხმა კი მივეცი და რა ვიცი, ვნახოთ. მერე გვითხრა, ობამას იმედი უნდა გვქონდეს, ამერიკა ჩვენი პარტნიორიაო და ეხლა, ისე როგორც არასდროს ახლოს ვართ ტერიტორიების დაბრუნებასთანო.

**ბ.ჯ.** - რას მელაპარაკებით? ეგ ადრეც უთქვამთ ხელისუფლების წარმომადგენლებს და არ მჯეროდა.

**ა.ბ.** - არც მე მჯეროდა, მაგრამ დავიჯერე. ისე გელაპარაკება რო დაგაჯერებს.

**ბ.ჯ.** - რას ფიქრობთ, ობამა მედვედევის შეხვედრაზე? რა შედეგით შეიძლება დასრულდეს ის?

**ა.ბ.** - კი ბატონო, გეტყვით. ობამა ეტყვის პუტინს, რომ ჯარები გაიყვანოს და საქართველო აღიაროს.

**ბ.ჯ.** - ეს პრეზიდენტმა გითხრათ, თუ თქვენი აზრია?

**ა.ბ.** - ჩემი აზრია. პრეზიდენტმა აჭარის აღორძინებაზე გველაპარაკა.

**ბ.ჯ.** - ასლან აბაშიძეზე?

**ა.ბ.** - ხუმრობის ხასიათზე ხართ და სულ არ მეხუმრება. ჩვენ ყველაზე მაღალ სასტუმროს ვაშენებთ შავი ზღვის ტერიტორიაზე და ეს სასტუმრო აჭარის სიამაყე იქნება. ჩვენ წვიმასაც მივხედავთ, სპეციალური ბომბები ჩამოიტანეს და ღრუბლებს დაშლიან, წვიმამ რო არ ჩაშალოს ყველაფერი.

**ბ.ჯ.** - წარმატებებს გისურვებთ. ამ ინტერვიუს შემდეგ თქვენ კიდევ შეგაწუხებენ ჟურნალისტები. მზად ხართ ამისათვის?

**ა.ბ.** - ნუღარ მაგინებენ და ვილაპარაკებ.

# ბესო ხვედელიძის 17 გაელვება

"თაგვის გემოსა" და სხვა გამზითვებულ-დაბინავებული მოთხრობების შესახებ

ია ვეკუა

იქ, საიდანაც "ძუძუ" ისმის, სულაც არ ნიშნავს, რომ რობის კონცერტია; იქ, საიდანაც ღვინის სურნელი გამოდის, სულაც არ ნიშნავს, რომ ქეიფია; იქ, საიდანაც წიგნებით ხელში გამოდიან, სულაც არ ნიშნავს, რომ ბიბლიოთეკაა. იქ, საიდანაც "ძუძუ" ისმის, ღვინის სურნელი ტრიალებს და წიგნებით გამოდიან, ახალი წიგნის პრეზენტაციაა. წიგნს "თაგვის გემო" ჰქვია, წიგნის ავტორს - ბესო ხვედელიძე, ამ სტატიის ავტორს კი ია ვეკუა...

ბესო ხვედელიძემ ჩვიდმეტჯერ დაიწყო ჩვიდმეტი ახალი მოთხრობის წერა და ჩვიდმეტჯერვე დაასრულა. მერე გამომცემლობაში მიიტანა, სადაც სარჩევი შეუდგინეს, ყდა შეურჩიეს, სტამბაში გააქანეს და რამდენიმე დღეში ბებოს ღვეზელებივით გამოუცხვეს. ვიდრე წიგნები გრილდებოდა, პრეზენტაცია მზადდებოდა - კლუბ "ეთნოში", სადაც ზუსტად იმდენი ადამიანი ეტევა, რამდენიც საჭიროა და სადაც ზუსტად ის ღვინო ისმევა, რომელიც რობის "ძუძუს" რიტმებზე როკვას გაიძულებს... თუმცა, თუ შეიძლება სცენიდან ჩამოდით, თავი მართლა კონცერტზე ხომ არ გგონიათ?! ლეო, შენ აქეთ მოთავსდი, ანნა, ლექსის თქმას ყოველთვის მოასწრებ - დღეს ხომ ბესოს დღეა!

"თაგვის გემო" ბესო ხვედელიძის მეათე წიგნია. ბოლო კრებულია, თუმცა სულაც არ ნიშნავს, რომ მასში მხოლოდ ბოლოდროინდელი მოთხრობები შევიდა. აქ "პენ მარათონის" ოქროს ხანაში დაწერილ მოთხრობებსაც შეხვდებით და იმ ნაწარმოებსაც, რომელსაც ავტორი თითქმის 16 წლის განმავლობაში წერდა - იმ დღიდან, როდესაც მისთვის აფხაზეთის ომი დამთავრდა. მერე ჭურვებით დაცხრილული და სისხლით დამბალი მიწის საპირისპირო მხარეს შებრუნდა და იქ დაბრუნდა, საიდანაც თითქმის ორი წლით ადრე იდეალებით სავსე გაემგზავრა - სწორედ იმ იდეალებით, ტყვიების წვიმაში მოყოლილს მომაკვდავი მეგობრების შემხედვარეს რომ უნდა დამსხვრეოდა.

ბესო ამბობს, რომ მოთხრობათა უმეტესობა ავტობიოგრაფიულია. ზოგში პირდაპირ გვიყვება თავის ამბავს, ზოგშიც ნიღბავს. თუ გინდათ, თითქმის შეუნიღბავი ბესო გაიცნოთ, 165-ე გვერდზე გადაშალეთ და "კლოუნები გამოძახებით" გადაიკითხეთ. აქ რომ ნამდვილ ამბებს ამოიკითხავთ, პირველივე ფრაზიდანვე ჩანს: "სიმართლე თუ გაინტერესებს..." - ასე იწყებს და აგრძელებს, რომ ორცოლგანაშვები და ორშვილიანი მჩხაპნელია (მოთხრობაში - დამწყები); რომ არც მანქანის ტარება იცის, თხილამურები კი შორიდან თუ ექნება ნანახი; რომ ერთხელ მადიმ უთხრა, მერე ბებომაც უთხრა, ბოლოს კი თვითონ თქვა: "ქალების დედა!.."

ქალებს რაც შეეხება: "ყველაზე კაი ქალი ისაა, კითხვებს რომ არ სვამს", - ამბობს ბესო, მაგრამ ეს კლარა, ეს ცხიმიანი, ეს მაიონეზით გაპოხილი დედიშობილა დედაკაცი საიდან მოიტანე, ბესო?! რა ხმაზე კივის, რა უნდა კლარას, ბესო? რატომ სვამს ამდენ კითხვას კლარა, ბესო? ან ლეო რა იქნა, ბესო? კლარას საძაგელი კატა, ბესო?! მაგრამ ბესო ხმას არ იღებს, იმიტომ რომ, პირი რომ გააღოს, კლარას გვერდით ცხოვრებისას კუჭში დაგროვილ მთელ სიბინძურეს ამოანთხევს, იმიტომ რომ ბესოს ახლა ძალიან სძულს და ძალიან ეზიზღება - "კლარაში" ბესოს ძალიან სძულს და ძალიან ეზიზღება...




მერე ბესოს უყვარდება და ბრმების ქალაქის ქუჩებში ხუთი წლის წინ დაკარგულ და ისევ დაბრუნებულ სიყვარულს დაასეირნებს. თითქოს ეს ხუთი წელი არც ყოფილა. თვითონ კი ისევ იმხელაა, რამხელაც ხუთი წლის წინ იყო - კინოთეატრის ჩაბნელებულ დარბაზში საკოცნელად რომ იწევდა ხოლმე და ბრმად ეძებდა სველ ლოყებს, ტუჩებს, თვალებს... ამ დროს ეკრანი ნათდება და სეანსი იწყება. დღეს აფიშაზე ტრეშ მუვის თაყვანისმცემელთა გასახარად მხოლოდ ერთი სიტყვა - "მკვდრები" წერია, ჟანრის გრაფაში - ჰორორი, პერსონაჟები: უკვე მკვდრები და ისინი, ვინც მოთხრობის ბოლომდე აბზაცსა და აბზაცს შუა გაქრებიან. ეკრანზე ერთმანეთს ცვლიან უკბილო პირდაფჩენილი ილო და ბაბილო, სახეჩამოხოკილი თამრო და თითქოს ფელინის ფილმებიდან გამოპარული ფაშფაშა ეველინა, დედის გარდა სხვა ქალის ძუძუუნახავი ბიჭის წინ გაშიშვლებაც რომ შეუძლია. რა შუაშია ეს ყველაფერი და როგორ მთავრდება მოთხრობა? კარგით რა, წაიკითხავთ და ნახავთ - სწორედ რომ ნახავთ, როგორც ეკრანზე მინათებული ფილმის კადრებს...

უი, გინდათ გაცინოთ? უფრო სწორად, ბესომ გაცინოთ? გადაავფურცლოთ წიგნი და სწორედ იქ, სადაც საზიზღარი კლარას ამბავი მთავრდება, 99 სოუზაშვილისა და ერთი ჯერ კიდევ დაუბადებელი სოუზაშვილილის ამბავი იწყება. ვიდრე ამ მოთხრობის კითხვას შეუდგებით, ქამრები მოიშვით - ბევრი სიცილი მოგიწევთ. ერთი გვარის წარმომადგენელთა შეკრების აბსურდამდე მისული ამბავი ჩვენი საზოგადოების ტიპიური პორტრეტია: სწორედ მაშინ, როდესაც მთელ ქვეყანას აგვისტოს ბომბების ხმა აყრუებს, მხცოვანი სოუზაშვილები ბოლო ხმაზე გაჰკივიან მათი გვარის სადიდებელ ტექსტებს, სწორედ მაშინ, როდესაც ქალაქი ნელ-ნელა ივსება დევნილებით, ესენი იმაზე ფიქრობენ, პაულო სოუზას კოპლებიანი ბურთი გაუგზავნონ თუ თეთრი... ფუ თქვენი!

და რატომ პაულო სოუზა? იმიტომ, რომ სოუზაშვილების გვარს ერითმება და კიდევ იმიტომ, რომ ბესოს ძალიან უყვარს ფეხბურთი. კრებულში შესულ თითქმის ყველა მოთხრობაში კი თითო ფეხბურთელის გვარს მაინც ამოიკითხავთ: ფერნანდო რედონდო, პერესი, სოუზაზე ხომ უკვე გითხარით და მწვრთნელის სავარძელში მოკლათებული არსენა, ოღონდ მარაბდელი კი არა, ვენგერი!..

ბოლოს კი ბესო ამბობს: "როგორც იქნა, ეს წიგნიც გავამზითვე და დავაბინავე... ახლა რომანს ვუზივარ - ცალ ხელში შალაშინით და მეორეში შკურკით, ზუმფარას რომ ეძახიან. მერე ლამინირებასაც გავუკეთებ და ასე..."

.+

# კიდევ ერთი მიქელანჯელო

არქეოლოგიური ძიებები მხოლოდ მიწისქვეშა და გადაშენებულ ცივილიზაციათა ფენებში როდი მიმდინარეობს. იტალიური აღორძინება მიწას არ დაუფარავს და თუ ერთხელ მაინც ყოფილხართ ფლორენციასა და რომში, ისიც გეცოდინებათ, რომ აღორძინების კულტურა არა თუ გადაშენდა, არამედ ახლაც ბევრ თანამედროვე ხელოვნების ნიმუშზე მეტად ცოცხალია. ალბათ ამის გამოა, რომ დიდსა და ცენტრალურ ქალაქებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე ეძებენ მათთვის ყველაზე მთავარსა და შეუფასებელს - დიდი სამეულის ხელწერას.

და ვინჩის, მიქელანჯელოსა და რეფაელის თუნდაც მცირე კვალი იტალიაში შეუდარებელი მონაპოვარია. სწორედ ამიტომ იტალიელი მკვლევარები ათეულობით წელს ატარებენ ფრესკებთან, თუნდაც სხვათა ნაწარმოებებთან, რადგანაც ეჭვები, რომ პირველი ფენა ამ სამეულიდან ერთ-ერთის ფუნჯის პატარა მონასმს მაინც ინახავს, ბევრად ძვირად უღირთ ვიდრე საკუთარი სიცოცხლე. ძალიან ხშირად ჩნდება ირონიული კითხვა, რამდენად ჯანმრთელია ქცევა, როცა წლობით დგახარ ფლორენციის პალაცო ვეკიოს კედლებთან და ათასგვარ მოწყობილობაში იყურები, რათა აღმოაჩინო მიქელანჯელოს, ანდა და ვინჩის ის ნაწარმოებები, რომელთა შესახებ მემატიანემაც კი დაგიწერეს, როგორც ათასგზის განადგურებულ ექსპონატებზე. მაგრამ ამას ჩვენ ვერ მივხვდებით, დეტექტივი, რომელსაც ხელოვნების ექსპერტთათვის აქამდე არარსებულის აღმოჩენა ჰქვია, ჩვენთვის რთული გასაგები იქნება. ერთი კი ვიცით, რომ ყოველი ახალი ნამუშევარი, რომელსაც ამ სამეულიდან ერთ-ერთს მიაკუთვნებენ კიდევ ერთი მიზეზი გახდება კონკრეტული ქალაქისა და მუზეუმისთვის, რათა მის გამო ძალიან გრძელი რიგები დადგეს, რათა მის გამო ქვეყნები გადასერო და მასთან, როგორც მტავარ მიზანთა ჩახვიდე.

■ ■ ■

რესტავრატორებმა, რომლებიც მიქელანჯელო ბუონაროტის უკანასკნელ ნამუშევრად მიჩნეულ ფრესკას, სახელწოდებით "წმინდა პეტრეს ჯვარცმა", ასუფთავებდნენ, მიაკვლიეს, რომ მხატვარს მასზე დაეტოვებინა თავისებური ხელმოწერა - ავტოპორტრეტი. გაზეთი The Independent გვიმარტავს, რომ ნახატის მარცხენა მხარეს, ორ ცხენოსან ფიგურას შორის მოსჩანს მესამე მხედარი ნათელ ლურჯ დოლბანდში. სწორედ ის არის მიქელანჯელო.

ეს ფრესკა 1545 და 1550 წლებს შორის შეიქმნა. ის განთავსებულია პაოლინას სამლოცველოში, რომელიც ვატიკანის სამოციქულო სასახლის მნახველებისთვის დახურულ ნაწილში მდებარეობს. სამლოცველოსა და მასში დაცული მიქელანჯელოს ორი ფრესკის ("წმინდა პეტრეს ჯვარცმის" გარდა, იქ არის კიდევ "წმ. პავლეს მოქცევა") რესტავრაცია 2009 წლის 30 ივნისს დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ ფრესკაზე პეტრე მოციქულის გვერდით მიქელანჯელოს ავტოპორტრეტს ერთხელ უკვე მიაკვლიეს: ასეთად მარჯვენა ქვედა კუთხეში მდგარი, ხელებგადაჯვარედინებული ფიგურა მიიჩნიეს, მაგრამ ეს ჰიპოთეზა მალევე უარყვეს. ცნობილია, რომ სიქსტის კაპელის დამამშვენებელ ფრესკაში "საშინელი სამსჯავრო" მიქელანჯელომ აღბეჭდა საკუთარი კარიკატურა: "წმინდა ბართლომეს" ხელში ტყავი უჭირავს ადამიანისა, რომლის ნაწამები სახეც მხატვარს ეკუთვნის.

მიქელანჯელო საკუთარ ფრესკებზე ხელმოწერას, როგორც წესი, სულ ტოვებდა. ამის კიდევ ერთი დასტურია იტალიის ქალაქ მარჩიალში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომლის საკურთხევლის უკან განთავსებულ ძველ ფრესკაზე მიქელანჯელო ბუონაროტის ხელის მოწერის იდენტური წარწერა აღმოაჩინეს.

საკურთხევლის შემადგენელ ნაწილად მიჩნეული ქვის ფილის გადაადგილება მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ღრმად მოხუცებულმა მრევლმა ამ ეკლესიის მოძღვარს გაუმხილა, რომ ბავშვობაში, როდესაც საკურთხეველში მსახურებდა, ის კედლის ნაპრალში შეძვრა და იქ რაღაც ინიციალები დაინახა.

ამ ქალაქში დიდხანს დადიოდა ლეგენდა იმის შესახებ, რომ სწორედ მარჩიალში იმალებოდა მიქელანჯელო მას შემდეგ, რაც მისი მფარველები, მედიჩების ოჯახი, 1494 წელს წრიზისში აღმოჩნდნენ (იმ პერიოდში მხატვრის ზუსტი ადგილმდებარეობა უცნობია). უფრო მეტიც, 17-18 საუკუნეებში რამდენიმე მეცნიერი სახელგანთქმული მხატვრის ნამუშევრებს შორის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის ფრესკასაც მოიხსენიებდა. და მიუხედავად ამისა, XXI საუკუნემდე სახელოვნებათმცოდნეო ექსპერტიზა არ ჩატარებულა იმისათვის, რომ ეს მტკიცებულება დაედასტურებინათ ან უერყოთ. ქალაქში დაფუძნებულია ასოციაცია, რომელიც ამ ფრესკის გამოკვლევის კამპანიას ატარებს.

აღნიშნული ასოციაციის ხელმძღვანელმა, ელზა მასიმ, განაცხადა, რომ ეკლესიაში აღმოჩენილი ასოები M, B და F ფლორენციაში სულიწმინდას სახელობის ეკლესიის ჯვარცმის ქვემოთ მოცემული მიქელანჯელოს ხელისმოწერის იდენტურია. M და B ავტორის ინიციალებს შეესატყვისება, ხოლო F - ლათინურ ზმნას fecit (გააკეთა), აი, სწორედ ასე აწერდა ხელს საკუთარ ნამუშევრებს ფლორენციელი მხატვრების უმრავლესობა.

# ახალი დაპირისპირების კონტურები

ევროპულ ფეხბურთში მორიგი დაპირისპირების კონტურები იკვეთება და ამის მთავარი მიზეზი "რეალის" პრეზიდენტი ფლორენტინო პერესია. სანამ საქმის ვითარებაზე გადავიდოდეთ, შეგახსენებთ არცთუ შორეულ წარსულს.

ბობოლა კლუბები ყოველთვის ცდილობდნენ საფეხბურთო სამყაროში ჰეგემონიის დამყარებას როგორც სპორტული, ისე ფინანსური თვალსაზრისით. ამ მიზნით თავის დროზე 14 წამყვანი ევროპული კლუბის მფლობელებმა ორგანიზაციაც ჩამოაყალიბეს - G14.

ორგანიზაციის მთავარი მიზანი ის იყო, რომ შექმნილიყო ეგრეთ წოდებული ევროპული ლიგა, სადაც მხოლოდ გრანდები ითამაშებდნენ. მარტივად რომ ვქთვათ, ყოველწლიურად უნდა ჩატარებულიყო ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მსგავსი ტურნირი. გრანდები ამ ლიგაში ითამაშებდნენ და ეროვნულ ჩემპიონატებზე აღარ იფიქრებდნენ. ცხადია, იდეამ მხარდაჭერა ვერ პოვა უეფასა და ფიფაში. თანამედროვე ფეხბურთის მამებსა და ბობოლა გუნდებს შორის ხანგრძლივი ომი გაჩაღდა. ერთხანს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ წამყვანი ევროპული კლუბები დაიმუქრნენ, ჩემპიონთა ლიგაში არ ვითამაშებთო. კლუბების მესვეურები ითხოვდნენ, რომ ფეხბურთელების ნაკრებში გაშვების შემთხვევაში კლუბებს კომპენსაცია მიეღოთ. მოკლედ, თუ ბობოლები თავისას გაიტანდნენ, ევროპული ფეხბურთი NBA-ს ანალოგად იქცეოდა, სანაკრებო ფეხბურთი კი დასამარდებოდა.

ვითარება მას შემდეგ გამოსწორდა, რაც უეფას პრეზიდენტად მიშელ პლატინი დაინიშნა. ფრანგმა შეძლო, ბობოლა კლუბების მესვეურები გადაებირებინა. პირველ რიგში, ეს გააკეთა "ბარსელონას" პრეზიდენტის ჟოან ლაპორტას დახმარებით, რომელმაც პლატინის თითქმის ყველა წამოწყებას დაუჭირა მხარი. საბოლოოდ შეთანხმება მოხერხდა და G14 დავიწყებას მიეცა. პლატინიმ ბევრი სიახლე დანერგა - განაახლა უეფას თასი, გარკვეული ცვლილებები შეიტანა ჩემპიონთა ლიგის ფორმატში და ამით ყველა კმაყოფილი დარჩა.



პლატინი ფლორენტინო პერესს უპირისპირდება

ახლა კი, როგორც ჩანს, შეიძლება ვითარება ისევ შეიცვალოს. პლატინიმ საჯაროდ გააკრიტიკა ფლორენტინო პერესის სატრანსფერო პოლიტიკა. დაახლოებით ერთი კვირის წინ უეფას პრეზიდენტმა განაცხადა: "არ მესმის, სადამდე შეიძლება მივიდეთ. ფეხბურთელების ფასმა კატასტროფულად აიწია. იზრდება ფეხბურთელთა ხელფასიც. ვერავინ დამაჯერებს, რომ არსებობენ ფეხბურთელები, რომლებშიც 100 მილიონის გადახდა შეიძლება. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად არავითარი ბერკეტები არ გაგვაჩნია. უბრალოდ, საკუთარ პოზიციას გამოვხატავ".

პერესმა ამ კრიტიკას თავისებურად უპასუხა - კიდევ ერთხელ წამოჭრა ევროპული საფეხბურთო ლიგის შექმნის იდეა, სადაც მხოლოდ გრანდები ითამაშებენ.

"რეალის" მმართველმა The Times-თან საუბარში განაცხადა, რომ ამ იდეის განხორციელებაზე სერიოზულად ღირს დაფიქრება.

"ახალი ტურნირის შექმნაზე უნდა შევთანხმდეთ. ევროპის სუპერლიგა მართლაც უძლიერეს კლუბებს გააერთიანებდა. ჩემპიონთა ლიგაში საუკეთესოებს ყოველთვის საუკეთესოებთან როდი უწევს თამაში," - ამბობს პერესი.

უახლოეს მომავალში პლატინის პასუხს უნდა ველოდეთ. ვითარება კი იმ შემთხვევაში გამწვავდება, თუ პერესს სხვა ბობოლა კლებების ხელმძღვანელებიც მიემხრობიან.

# ფაბრეგასი 46 მილიონად შეფასდა

უახლოეს მომავალში ალბათ კიდევ ერთი ხმაურიანი და ძვირად ღირებული ტრანსფერის მოწმენი გავხდებით. სავარაუდოდ, "არსენალის" 22 წლის კაპიტანი სესკ ფაბრეგასი სამშობლოში დაბრუნდება და რომელიმე ესპანურ გრანდში ჩაირიცხება.

ფაბრეგასის შესაძლო ტრანსფერზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ ყოველთვის, როცა ასეთი ჭორი ვრცელდებოდა, თავად ფაბრეგასი კატეგორიულად უარყოფდა ყველაფერს და ამბობდა, რომ "არსენალთან" განშორება არ სურს. ამავე დროს "მეთოფეთა" ხელმძღვანელები ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ სესკს არავითარ შემთხვევაში არ შეელევიან.

გუშინ ბრიტანულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად "არსენალი" მზადაა გაყიდოს ფაბრეგასი.

"არსენალში" არავის სურს ფაბრეგასის გაყიდვა, თუმცა როდესაც დიდ ფულზე საუბარი, ყველაფერი შესაძლებელია. თუ რომელიმე კლუბმა "არსენალს" 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი (46 მილიონი ევრო) შესთავაზა, კლუბი სესკს გაყიდის", - განუცხადა გაზეთ "სანს" ლონდონური კლუბის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა პირმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.



სესკ ფაბრეგასის ტრანსფერს უახლოეს მომავალში უნდა ველოდეთ

ასეთი თანხის გადამხდელი კლუბი ევროპაში ადვილად შეიძლება მოიძებნოს. ბრიტანეთში - "ჩელსი" და "მანჩესტერი", თუმცა საეჭვოა, "არსენალმა" ფაბრეგასი რომელიმე კონკურენტს მიჰყიდოს. ასე რომ, თუ ამ ფეხბურთელის ტრანსფერზე ვსაუბრობთ, სწორედ ევროპული, კერძოდ ესპანური კლუბები უნდა ვიგულისხმოთ.

"ბარსელონა" და "რეალი" ფაბრეგასის შეძენის სურვილს არასდროს არ მალავდნენ - კარგა ხანია კატალონიელებს საკუთარი საფეხბურთო სკოლის აღზრდილის დაბრუნება სურთ. 46 მილიონი ევრო დიდი თანხაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ბარსა" ეტო`ოს გაყიდვას ფიქრობს, ცხადი გახდება, რომ სესკის შესაძენი ფული ლაპორტას ექნება. ბოლოს და ბოლოს, არც ის არის გამორიცხული, რომ ეტო`ო პირდაპირ გაიცვალოს ფაბრეგასში, თუმცა არსებობს ერთი სერიოზული პრობლემა - ეტო`ოს პირადი კონტრაქტი. კამერუნელი, ხელფასის სახით, კვირაში 160 ათას გირვანქა სტერლინგს ითხოვს, "არსენალი" კი ასეთ ხელფასს ვერავის გადაუხდის.

რაც შეეხება "რეალს", ამ გუნდის ახალ პრეზიდენტს ფულის ხარჯვის რომ არ ეშინია, უკვე დავრწმუნდით. პერესს ფაბრეგასის საყიდლად საჭირო 46 მილიონი ევროს მოძიება არ გაუჭირდება.

## ეტო ო "სიტიში" არ გადავა

"მანჩესტერ სიტის" ოფიციალურმა წარმომადგენლებმა უარყვეს ჭორები ეტო ოსთან გრანდიოზულ თანხებთან დაკავშირებით.

ქალაქელებმა მართლაც დაადგეს თვალი კამერუნელს, მაგრამ ისინი არ აპირებენ მას გადაუხადონ რეკორდული ხელფასი. ბრიტანული მედიის ცნობით "სიტი" აპირებდა სამუელისთვის კვირაში 180 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაეხადათ, რაც წელიწადში 14 მილიონ ევროს შეადგენს.

"სიტის" ჩინოვნიკებმა ეს ჭორი უარყვეს, რადგან არ გამოეწვიათ უკმაყოფილება გუნდში. სავარაუდოდ, თუ ეტო ო "სიტიში" გადაბარგდა მას ექნება 160 ფუნტი კვირაში (ამდენივე აქვს რობინიოს).

თუ "ბარსელონა" კამერუნელ ცენტრფორვარდს გაუშვებს, მაშინ მიიღებს 29 მილიონ ევროს, რაც არც თუ ისე ცუდია. თუ ეს არ მოხდა და ეტო ომაც არ გაახანგრძლივა კონტრაქტი, მაშინ "ბარსელონას" ეტო ო თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს.

## რონალდუ "რეალში" წარადგინეს

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ფეხზბურთელი რონალდუ გუკშინ ოფიციალურად წარადგინეს მადრიდის "რეალში.

პორტუგალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი კრიშტიანუ რონალდუ, რომელიც მიმდინარე ზაფხულს ინგლისის "მანჩესტერ იუნაიტედიდან" მადრიდის "რეალში" სარეკორდო თანხად - 80 მილიონ ფუნტად გადავიდა, "სამეფო კლუბში" 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

თავის დროზე, ამ ნომრიანი მაისურით ესპანური კლუბის ღირსებას ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო იცავდა.

"დი სტეფანო "რეალისთვის" ლეგენდარული პიროვნებაა. ის იმდენად მნიშვნელოვანია "სამეფო კლუბისათვის", როგორც ბობი ჩარლტონი "მანჩესტერ იუნაიტედისთვის". ვისურვებდი, რომ "რეალთან" ერთად ბევრი ტიტულები მოვიგო და დი სტეფანოს მიღწევა გავიმეორო. "მანჩესტერ იუნაიტედში" წარმატებული ფეხბურთელი ვიყავი და ესპანურ კლუბშიც იგივეს გამეორებას შევეცდები", - თქვა რონალდუმ.

## ალმეიდას "ვერდერი" არ ეთმობა

პორტუგალიის ნაკრების 25 წლის ფორვარდი უგო ალმეიდა, რომელიც ბრემენის "ვერდერის" ღირსებას იცავს, აცხადებს, რომ კლუბის დატოვების სურვილი არ აქვს.

მის მიერ "ვერდერის" შესაძლო დატოვების შესახებ პრესა მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც "მუსიკოსებმა" დონეცკის "შახტარისგან" 2010 წლის ზაფხულამდე 21 წლის ბოლივიელი თავდამსხელი მარსელო მორენო იქირავა. მაშინ ითქვა, რომ კლუბს ალმეიდა აღარ დასჭირდებოდა და ის მის გაყიდვას ამჯობინებდა.

"მე ამას, როგორც ბრძოლას, არ ვუყურებ - აღნიშნა მან - ეს ჩემი სამუშაოა და მე ვცდილობ, ის რაც შეიძლება კარგად ვაკეთო. საბოლოო გადაწყვეტილებას კი მწვრთნელი მიიღებს. კლუბიდან კი მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ ეს ჩემთვისაც და "ვერდერისთვისაც" სახეირო და სასარგებლო იქნება. თუმცა ისეთ კლუბში, რომელიც მხოლოდ ლიგაში დასარჩენად იბრძვის, არ გადავალ, ეს ჩემს კარიერაში უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა."

## ჰუნტელაარი "მილანს" არ მიყიდეს

მოგეხსენებათ მადრიდის "რეალი" ჰოლანდიელი ფეხბურთელების მოცილებას ლამობს, თუმცა ფლორენტინო პერესსი ნარინჯისფერთა გაყიდვით სორლიდური თანხის ამოღება სურს და უბრალოდ არავის დაუთმობს თავის დაწუნებულ ფეხბურთელებს.

მაგალითისთვის ისიც საკმამრისია რაც ამ დღეებში მოხდა. "მილანს" კლას იან ჰუნტელაარის გადაბირება სურდა. ადრიანო გალიანი სპეციალურად ჩაფრინდა კიდეც მადრიდწი რათა "რეალის" მესეურებთან გაემართა მოლაპარაკება ჰუნტელარის იჯარის წესით გადაყვანის თაობაზე, რაზეც უარი მიიღო. ამის შემდეგ "მილანმა" "სამეფო კლუბს" ჰუნტელაარში 18 მილიონი ევრო შესთავაზა, რაც იმაზე ორი მილიონით ნაკლებია რასაც "სამეფო კლუბი" მოითხოვს ფეხბურთელში, რომელშით თავის დროზე "აიაქსს" 27 მილიონი ევრო გადაუხადა.

## მანსინის "ვესტ ჰემში" იწვევენ

ლონდონური "ვესტ ჰემი" იტალიის სერია ა-ში მორთამაშე ფეხბურთელებით აპირებს გაძლიერებას. "ჩაქუჩებმა" უკვე შეიძინეს ლუის ხიმენესი ახლა კი "რომას" ბრაზილიელი ნახევარმცველის ამანტინო მანსინის გადაბირებას ცდილობენ.

გავრცელებული ცნობით, მანსინი ინგლისელებთან კონტრაქტს უკვე მომავალ კვირას გააფორმებს, თუმცა, მისი დეტალების შესახებ, ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

## "ესპანიოლს" არგენტინელი მცველი გააძლიერებს

ესპანური "ესპანიოლი" და არგენტინული "ნიუელს ოლდ ბოიზი", 23 წლის მცველ ივან ალექსის პილუდას ტრანსფერზე შეთანხმდნენ.

კატალონიური კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, პილუდა, რომელიც არგენტინაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლება, "ესპანიოლთან" კონტრაქტს უახლოეს პერიოდში გააფორმებს.

### ლატვიელი "აიაქსში"

ლატვიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ლიეპაის "მეტალურგსის" მცველი დენის ივანოვი ამსტერდამის "აიაქსში" ისინჯება. გამოცემა "ლეგიონერის" ცნობით, 25 წლის ფეხბურთელი ჰოლანდიურ კლუბში 8 ივლისამდე დარჩება და თუ ხელმძღვანელობას თავი მოაწონა, ამსტერდამელებთან სრულფასოვან კონტრაქტს გააფორმებს.

### ნიჰათი ქვეყნის სამსახურში

თურქეთის ნაკრებისა და ესპანური "ვილიარეალის" თავდამსხმელი ნიჰატ კაჰვეჩი სამხედრო სამსახურს გაივლის. 29 წლის ფეხბურთელი, როგორც საზღვარგარეთ მცხოვრები თურქეთის მოქალაქე, 21-დღიან სამხედრო შეკრებაზე გამოცხადდება. დანარჩენი პერიოდის სანაცვლოდ კი, ნიჰატი ინდივიდუალურად შეთანხმებულ თანხას გადაიხდის. "აქ ჩამოვედი, რათა სამშობლოს წინაშე ვალი მოვიხადო. ამით ბედნიერი და ამაყი ვარ", - ამბობს ნიჰატი. ამავდროულად, მოთამაშის აგენტმა, მურატ კუსმა უარყო გავრცელებული ცნობა იმის შესახებ, რომ მისმა კლიენტმა კონტრაქტი "ბეშიქთაშთან" გააფორმა. "ჯერჯერობით, ნიჰატი "ვილიარეალის" მოთამაშეა. სამხედრო სამსახურის შემდეგ რა მოხდება, ამ ეტაპზე უცნობია", - განაცხადა კუსმა.

### ტოტი 5 წლით

იტალიური "რომას" კაპიტანი და ცოცხალი ლეგენდა ფრანჩესკო ტოტი მშობლიურ კლუბში კიდევ 5 წელს ითამაშებს. 32 წლის ფეხბურთელი ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ფორმალურ საკითხებს სეზონისწინა საწვრთნელ შეკრებაზე დაუბრუნდება. ფაქტობრივად ეს იმის მაუწყებელია, რომ ტოტი საფეხბურთო კარიერას მშობლიურ კლუბში დაასრულებს, რომელშიც 1992 წლიდან თამაშობს.

### გამოფენა გაყიდვა

შოტლანდიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, "გლაზგო რეინჯერსმა", ფინანსური სირთულეების გამო, მზადყოფნა გამოთქვა გამოეთხოვოს ნებისმიერ ფეხბურთელს, რომლის შეძენასაც სხვა კლუბი ისურვებს. ქომაგები იმედოვნებდნენ, რომ "რეინჯერსის" მიერ ჩემპიონთა ლიგის საგზურის პირდაპირ მოპოვების შემდეგ, კლუბი ლიდერ მოთამაშეებს შეინარჩუნებდა, თუმცა, კლუბის მენეჯერმა, უოლტერ სმიტმა განაცხადა, რომ ევროასპარეზზე გასვლით მიღებული საპრიზო თანხა ფინანსური კომპენსაციისთვის საკმარისი არ იქნება. "ყოველ მოთამაშეს თავისი ფასი აქვს. ქვეყნის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში გამარჯვებებმა ოპტიმიზმის საფუძველი მოგვცა, მაგრამ ფული კიდევ გვჭირდება. ამიტომ, ნებისმიერ ფეხბურთელზე მიღებული წინადადების განსახილველად მზად ვართ", - დასძინა სმიტმა.

### "იები" სუაზოს დაიმატებენ

იტალიურ "ფიორენტინას", "ინტერისგან", თავდამსხმელ დავიდ სუაზოს გადაბირება აქვს გადაწყვეტილი. იტალიური მედია რომ ფლორენციელებს ფორვარდის იჯარის წესით დამატება სურთ.

"ფიორენტინას" ხელმძღვანელობა ტრანსფერის პირობებზე უკვე შეუთანხმდა ფეხბურთელს და ამჯერად, "ნერაძურის" მესვეურთა პასუხის მოლოდინშია.

გასული სეზონი სუაზომ, იჯარის წესით, "ბენფიკაში" გაატარა. სეზონის დასრულების შემდეგ, პორტუგალიურმა კლუბმა მისი ტრანსფერის გამოსყიდვა არ ისურვა, რისი მიზეზიც ის იყო, რომ მარტში ფეხბურთელმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა.

თვალის მიკროქირურგიის
ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "
ერთადერთი კლინიკა
8 ფილიალით
და ერთი მოძრავი
საოპერაციო
ბლოკით
SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში
ოფთალმოქირურგიული
ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# საფინიშო ზღვარი არ არსებობს

2009 წლის უიმბლდონის ისტორიული ფინალის საცქერლად ძველი ჩემპიონები შეიკრიბნენ. პიტ სამპრასი, როდ ლეივერი, ჯონ მაკინროი, ბიორნ ბორგი და მთელი ბომონდი, რეჟისორ ვუდი ალენით დაწყებული და სერ ალექს ფერგიუსონით დამთავრებული. ასეთი მოვლენის გამოტოვება საცოდაობა იქნებოდა. საზეიმო ცერემონიალზე, სანამ ფედერერს გამარჯვებულისთვის განკუთვნილ თასს გადასცემდნენ, შვეიცარიელმა ლეგენდარული პიტ სამპრასის თვალწინ ჩაიცვა ქურთუკი წარწერით "15".

დაჯილდოების ცერემონიალზე ფედერერმა რამდენჯერმე გამოიყენა სიტყვა crazy - ფინალი მართლაც გიჟური იყო. მეორე სეტის ტაიბრეიკს როდიკი 6:2-ს იგებდა. გადამწყვეტი სეტის მეჩვიდმეტე გეიმში ამერიკელს ორი ფარული მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ როჯერმა თავისი უხილავი მაგია ჩართო და ახლა მას დიდი სლემის 15 ტურნირი აქვს მოგებული. როჯერ ფედერერი ყველა დროის საუკეთესო და ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელია. ამასთან, მან ჩოგბურთელთა მსოფლიო ამქარში პირველობა დაიბრუნა.

**- როჯერ, რამდენად რთული იყო დღევანდელი ფინალი იმათთან შედარებით, რომლებიც ადრე გითამაშიათ?**

- ძალიან გამიჭირდა, რადგან ენდიმ ბრწყინვალედ ითამაშა. მე ვიცი, როგორ უნდა ვითამაშო უიმბლდონის ფინალი, ვიცი, როგორ უნდა ვითამაშო ფინალის გადამწყვეტი მეხუთე სეტი, მაგრამ დღეს ყველაფერი სხვაგვარად იყო. ეს ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც მე შევეჩვიე ბოლო წლებში ნადალთან თამაშის დროს. დღეს იყო კლასიკური მატჩი ბალახის კორტისთვის. რაღაც მომენტებში იმედგაცრუებაც მქონდა, რადგან მატჩის ბოლომდე ვერ მოვიგე გეიმი ენდის მოწოდებაზე. ამიტომ ამჯერად კმაყოფილების გრძნობა მეტია, ვიდრე წინათ მოგებული ფინალების შემდეგ.

**- რა იფიქრეთ, როდესაც, ბოლოს და ბოლოს, შეძელით მეორე სეტის მოგება?**

- ვფიქრობ, სწორედ მეორე სეტი იყო იმის გასაღები, რაც შემდეგში მოხდა. ანგარიში 2:0 რომ გამხდარიყო ენდის სასარგებლოდ, ალბათ ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, როგორ აწოდებდა ენდი. რა თქმა უნდა, გამარჯვება მეორე სეტის წაგების შემთხვევაშიც შეიძლებოდა, თუმცა მეორე სეტის მოგებით ჩემი შანსი საგრძნობლად გაიზარდა.

**- ახლა რას გრძნობთ ენდის მიმართ?**

- ძნელია ამის სიტყვებით გადმოცემა. სპორტი და, კერძოდ, ჩოგბურთი ზოგჯერ სასტიკია. მეც გამივლია ასეთი რამ, დიდი სლემის ტურნირზე მითამაშია ხუთსეტიანი ფინალი და წამიგია. მერწმუნეთ, ეს ძალიან ძნელია. მაგრამ ენდიმ ბრწყინვალედ ითამაშა და ამ წაგების გამო ხელები არ უნდა ჩამოუშვას. ვფიქრობ, ძალ-ღონეს მოიკრებს და აშშ-ის ღია პირველობისთვის უფრო დიდი შემართებით დაუბრუნდება კორტს. ეს იყო საუკეთესო მატჩი, რომელიც მე და ენდის გვითამაშია. პირადად მე საკუთარ თავს ვაჯობე და მხოლოდ ამის წყალობით შევძელი გამარჯვება.



*ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი*

**- თქვენ გითქვამთ, რომ ბავშვობაში ასეთ წარმატებაზე ვერც იოცნებებდით. იყო თუ არა თქვენს ბავშვობაში ისეთი მატჩი, რომელმაც იმდენად გაგიტაცათ, რომ თქვით: "აი, ასეთი მინდა ვიყო"?**

- რა თქმა უნდა, თუმცა ერთ რომელიმე თამაშს ვერ გამოვყოფ. უბრალოდ, ბავშვობაში ვიცოდი, რომ ან ჩოგბურთელი გავხდებოდი, ან ფეხბურთელი.

**- ეს იყო რომელიმე ფინალური მატჩი თუ რაიმე სხვა თამაში?**

- ალბათ ფინალი ბეკერსა და ედბერგს შორის. არ მახსოვს, რომელი წლის, რადგან მათ რამდენიმე ფინალი აქვთ ნათამაშები. ვიჯექი სახლში, ვუყურებდი და ვფიქრობდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც შეიძლება ასეთი გავხდე. ამიტომ მიმაჩნია, რომ კერპები ადამიანს ზრდაში ეხმარებიან, რადგან მათი შთაგონების წყარო არიან. მათი დახმარებით შენ იზრდები, უბრალო მატჩს მოიგებ და ხუმრობ - აი, ისეთივე ძლიერი ვარ, შემდეგ კი დგება დღე და უკვე უიმბლდონი გაქვს მოგებული. ამაზე ოცნება ძალზე სიურეალისტურია, თუმცა როცა ეს მართლა ხდება, შენზე ბედნიერი არავინაა.

**- არაერთ ძლიერ ჩოგბურთელს ისე დაუმთავრებია კარიერა, რომ დიდი სლემის ტურნირი არ მოუგია. რას შეიძლება შევადაროთ მოგებული 15 ტიტული?**

- კარგი კითხვაა. მომეწონა. ასეთი კითხვის მოსმენა ბედნიერებას მგვრის. რას შევადარო? წარმოდგენა არ მაქვს. გაოგნებული ვარ. ამდენი წლის განმავლობაში ასეთ მაღალ დონეზე თამაში, თანაც ტრავმების გარეშე... როდესაც ამაზე დავფიქრდები ხოლმე, სიგიჟემდე ცოტა მიკლია. წარმოუდგენელია ამდენი ტიტულის მოგება მოვახერხე.

**- თქვენი პირველი დიდი სლემიც უიმბლდონზე მოიგეთ და მეთხუთმეტეც. ეს უბრალო დამთხვევაა და განგების რაღაც ნიშანი?**

- მიხარია, რომ რეკორდი სწორედ აქ დავამხე და ამას ბევრი მიზეზი აქვს. თუნდაც იმიტომ, რომ ეს ტურნირი ჩემთვის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ წრე შეიკრა. ყველაფერი აქ დაიწყო და დასრულდა. რა თქმა უნდა, ჩემი კარიერა არ დამთავრებულა, კიდევ ვითამაშებ. ბედნიერი ვარ იმის გამოც, რომ დღევანდელ მატჩს ამდენი ლეგენდარული ჩოგბურთელი ესწრებოდა, განსაკუთრებით კი პიტი, რომელთანაც უკვე ვმეგობრობ. ამას წინათ მასთან ერთად მშვენიერი დრო ვატარე აზიურ ტურნეში. ვიცი, რამდენად მნეიშვნელოვანი იყო მისთვის ეს რეკორდი და მანაც იცის, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩემთვის ეს რეკორდი. ვფიქრობ, ჩვენ მაინც ვიყოფთ ამ რეკორდს, რადგან პიტი შეუდარებელი ჩოგბურთელი იყო. ბოლოს და ბოლოს, ჩემზე მეტჯერ აქვს მოგებული უიმბლდონი. ბავშვობაში, როცა მეგობრები ჩემი თამაშის სანახავად მოდიოდნენ, ძალიან ვნერვიულობდი. ახლა კი არ ვიცი, როგორ ავხსნა ის გრძნობა, რომელიც დამეუფლა, როდესაც დავინახე, რომ ფინალს ამდენი ლეგენდა ესწრებოდა. თუმცა ნერვიულობთი უკვე აღარ ვნერვიულობ. კი ბატონო, ვისაც სურს, მობრძანდეს და ნახოს, როგორ ვთამაშობ. თუმცა, გამოგიტყდებით, როდესაც დღეს ტრიბუნაზე პიტი დავინახე, ავნერვიულდი.

**- 15 ტიტული წარმოუდგენელი მიღწევაა. რა თვისებებმა მოგიტანათ ეს წარმატება?**

- მხოლოდ ბრძოლის ჟინმა. ჩემი ყველაზე ცნობილი თვისებაა ოდნავი დაუდევრობა. მიკვირის კიდეც, რომ ისეთი ადამიანისგან, როგორიც მე ვარ, ასეთი დონის ჩოგბურთელი გამოვიდა. ვიცი, რომ მაქვს სუსტი წერტილები და ეს სრულიად ნორმალურია.

**- რა გაწერიათ მაისურზე?**

- "საფინიშო ზღვარი არ არსებობს. ჯერ ყველაფერი არ არის გაკეთებული".

**- როგორ გრძნობთ თავს ლეგენდის რანგში?**

- არ ვიცი. არა მგონია, რომ ლეგენდა ვიყო. არ შეიძლება მოქმედი სპორტსმენი ლეგენდად მოვიხსენიოთ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, ვნახოთ, რა მოხდება მომავალში.

**დიდი სლემის ტიტულები**

როჯერ ფედერერი - 15 (3 ავსტრალია, 1 საფრანგეთი, 6 უიმბლდონი, 5 აშშ )

პიტ სამპრასი - 14 (2-0-7-5)

როი ემერსონი - 12 (6-2-2-2)

ბიორნ ბორგი - 11 (0-6-5-0)

როდ ლეივერი - 11 (3-2-4-2)

ანდრე აგასი - 8 (4-1-1-2)

კენ როუზველი - 8 (4-2-0-2)

Agritechnics HOLDING

საუკეთესო ამერიკული
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა

JOHN DEERE



ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
24-47-44, 24-47-44 (1219)

სერვის პარტნიორი
თეგეტა მოტორსი

6 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია გიორგი ხელაძეს მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **3 340.93** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 15 ივლისი 12:00 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე გიორგი ხელაძე, მცხ: ბათუმი, მაზნიაშვილის ქ.N9;

## განცხადება

ბათუმის N21-ე სკოლა-პანსიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადდა ტენდერი ერთ ლოტად. (იხ.გაზეთი "24 საათი", 30 მაისი, 2009 წელი; 10 ივნისი, 2009 წელი.)

ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ზუგომშენი", რომელთანაც 2009 წლის 30 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N216.

**სატენდერო კომისია**

„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ ბიომეტრიული პასპორტის ბლანკის, პასპორტის ბლანკის პერსონალიზაციის ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის შესყიდვის მიზნით, გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 24 მარტს გამოქვეყნებულ ტენდერზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერზე გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა ს.ს. "ობერტურ ტექნოლოჯიზ"-თან.

სატენდერო კომისიის აპარატი.

6 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

## მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია დავით ზარანდიას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - - **2 153.28 ევროს** ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 15 ივლისი 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე დავით ზარანდია, მცხ: ქ.თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, კორპ. N1, ბინა N97;

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 30 ივნისის N438 ბრძანების საფუძველზე შპს "მრავალპროფილიან სახელობო სასწავლებელ დასტაქარისათვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 26 ივნისი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

"განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 30 ივნისის N440 ბრძანების საფუძველზე შპს "ლაზარესათვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2009 წლის 26 ივნისი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

# პროექტი
# ქალაქ თბილისის მთავრობა

**დადგენილება N16.28.567**

**24 ივნისი 2009 წელი**

შპს "თბილისის N12 მოზრდილთა პოლიკლინიკის" საკუთრება-
ში
არსებული 305,225 კვმ. ფართის და ამ ფართში განთავსებული
სამედიცინო ინვენტარისა და მოწყობილობების აუქციონის
ფორმით
იჯარით გაცემის შესახებ

შპს "თბილისის N12 მოზრდილთა პოლიკლინიკის" დირექტორის 11.06.09წ. N87 წერილით, ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წინაშე დაისვა საკითხი ქ. თბილისში, ახუნდოვის ქუჩა N13/3-ში მდებარე, საზოგადოების საკუთრებაში არსებული 305,225 კვმ. ფართის და ამ ფართში განთავსებული სამედიცინო ინვენტარისა და მოწყობილობების აუქციონის ფორმით იჯარით გაცემის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამსახურში წარმოდგენილ იქნა ინდივიდუალური აუდიტორის მანანა გორელიშვილის აუდიტორული დასკვნა( 19.05.09).

"მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის" შესახებ საქართველოს კანონის, ქ. თბილისის საკრებულოს 06.09.07წ. N10-54 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად,

**ქალაქ თბილისის მთავრობა ადგენს:**

1. დაკმაყოფილდეს შპს "თბილისის N12 მოზრდილთა პოლიკლინიკის" დირექტორის წინადადება და გაიცეს იჯარით (პირობებით გამოცხადებული აუქციონით), ქ. თბილისში, ახუნდოვის ქუჩა N13/3-ში მდებარე, საზოგადოების საკუთრებაში არსებული 305,225 კვმ. ფართი და ამ ფართში განთავსებული სამედიცინო ინვენტარი და მოწყობილობები ერთ ლოტად.

2. შეთანხმებულ იქნეს შპს "თბილისის N12 მოზრდილთა პოლიკლინიკის" მიერ წარმოდგენილი აუქციონის პირობები დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს შპს "თბილისის N12 მოზრდილთა პოლიკლინიკის" დირექტორს, უზრუნველყოს პირობებით გამოცხადებული აუქციონის მოწყობა დანართით წარმოდგენილი პირობების გათვალისწინებით და შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება აუქციონში გამოვლენილ გამარჯვებულთან.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) - მერიის ადმინისტრაციის უფროსს მ. ახვლედიანს.

5. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. N6).

ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა
შეთანხმებულია: მ. ახვლედიანი
ნ. ხაჩირაშვილი
დ. ალავიძე
ი. აბესაძე
ნ. ბახტაძე
დ. ხოსრუაშვილი
მ. ქაცარავა

დანართი

**აუქციონის პირობები**

**ლოტი N1 - 305,225 კვ.მ ფართი (I სართული 133,43კვ.მ; II სართული 171,795 კვ.მ იხ. დანართი 1; 2;) და ამ ფართში განთავსებული სამედიცინო ინვენტარი და მოწყობილობა (იხ. დანართი 3;)**

1. იჯარის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლით (იმ შემთხვევაში, თუ ქ. თბილისის მთავრობა მიიღებს ქ. თბილისში, ახუნდოვის ქ.N13/3-ში მდებარე შენობის ან იჯარით გაცემული უძრავი ქონების რაიმე სახით განკარგვის გადაწყვეტილებას, აღნიშნულის შესახებ მოიჯარეს ეცნობება ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში და ეს გარემოება იქნება ხელშეკრულების მოშლის უპირობო საფუძველი).
2. იჯარით გასაცემი უძრავი და მოძრავი ქონების საწყისი წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 37281,60 ლარით.
3. "ბე"-ს ოდენობა განისაზღვროს 3106,80 ლარით.
4. სავაჭრო ბიჯი განისაზღვროს 200 ლარით.
5. აუქციონში მონაწილის ღირებულება განისაზღვროს 50 ლარით.
6. საიჯარო თანხის გადახდა განხორციელდეს ყოველთვიურად თანაბარ წილად (იმ შემთხვევაში. თუ საიჯარო თანხის გადახდის დღე დაემთხვევა არასამუშაო დღეს, თანხის გადახდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს);
7. "ბე"-ს სახით შემოტანილი თანხა გათვალისწინებულ იქნეს ბოლო საიჯარო წლის ბოლო ერთი თვის გადასახდელ თანხაში;
8. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია:

ა) იჯარით აღებული ფართი გამოიყენოს სამედიცინო საქმიანობისათვის;

ბ) საკუთარი ხარჯებით მოახდინოს ცალკე აბონენტად გამრიცხველიანება (წყალი, ელექტროენერგია), შესაძლებელია შეთანხმების საფუძველზე წილობრივი გადახდა;

გ) დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმები;

დ) ყველა სახის სარემონტო სამუშაოების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მეიჯარესთან შეთანხმებით;

ე) აუქციონში გამარჯვებული თვითონ აგებს პასუხს მის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ ფასეულობაზე (თუ არ იქნება მიღწეული შეთანხმება ობიექტის ერთობლივი დაცვის განხორციელებაზე).

9. ამ დადგენილების შესაბამისად,კანომდებლობით გათვალისწინებული პროცედურებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყოს მოიჯარემ.

10. საიჯარო პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტის ინფლაციის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია გაზარდოს საიჯარო ქირა შესაბამისი ოდენობით.

---

## შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი" აცხადებს აუქციონს

**ქ. თბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) 28-ში მდებარე შენობის სხვენის (ფართი 552 კვ.მ., სასარგებლო ფართი - 418 კვ.მ.) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ფართობის რეალიზების მიზნით**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:**
საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**

**მესაკუთრე:** შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი .

**მისამართი:** ქ. თბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) №28.

**ობიექტის ფართობი:** 418 კვ.მ. (სასარგებლო ფართი) წილობრივ მიწის ფართობთან ერთად.

**საწყისი გასაყიდი ფასი:** 125 000 (ასოცდახუთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).

**ობიექტის დახასიათება:** შენობის სხვენი (ფართი 552 კვ.მ., სასარგებლო ფართი - 418 კვ.მ.) წილობრივ მიწის ფართობთან ერთად.

**თანხის გადახდის ვადები:**
მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებელი ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აუქციონში მონაწილეზე და სარეალიზაციო ქონების დასახელებას;

ბ) ბეს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის საანგარიშსწორებო ანგარიშზე (ს/ს ბაზისბანკი , ბანკის კოდი №220101956, მიმღები: შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი , ანგარიშის №9836596);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები (ქსეროასლები) (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს (წესდება, სასამართლოს დადგენილება დაფუძნების შესახებ, ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (წესდების შესაბამისად) აუქციონში მონაწილეობის შესახებ).

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 22 ივლისს, 17 საათზე და 30 წუთზე. მისამართი: ქ. თბილისში, პეკინის ქ. (ყოფილი გამსახურდიას გამზ.) №28, VI სართული.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 17 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, 12 სთ-დან 17 სთ-მდე, ზემოაღნიშნულ მისამართზე, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბეს სიდიდე შეადგენს 13000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში, ხოლო ბიჯის ოდენობა შეადგენს 6000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

**დამატებითი ინფორმაცია:**

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში (ჟურნალში) განაცხადის რეგისტრაციისა და მონაწილის ბილეთის შეძენის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 50 ლარს, რომელიც ასევე უნდა იქნეს გადახდილი შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისის ზემოაღნიშნულ ანგარიშზე.

აუქციონში გამარჯვებულის (მყიდველის) მიერ გადახდილი ბეს თანხა ჩაითვლება ქონების საბოლოო გასაყიდი ფასის გადახდისას. სხვა მონაწილეებს, აუქციონზე ვერგამარჯვების შემთხვევაში გადახდილი ბეს თანხა უბრუნდებათ უკან.

მონაწილეს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში. სხვა შემთხვევაში (მათ შორის: აუქციონზე გამოუცხადებლობისას) მის მიერ გადახდილი ბეს თანხა უკან არ უბრუნდება.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ობიექტის შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასის) გადახდა.

**შპს სახელმწიფო უზრუნველყოფის სერვისი**

საკონტაქტო ტელეფონი: 37-75-40

---

## განცხადება

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აცხადებს აუქციონს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ მიწის ფართობებზე:

1. ლოტი N1. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.დუშეთში მწითურის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 მ2 მიწის ფართობი. შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა- დუშეთი; კოდი 71; სექტორი ქ.დუშეთი; კოდი 51; კვარტლის N02; ნაკვეთის N055.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრება 1344 (ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 135 (ასოცდათხუთმეტი) ლარით;

g) ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 70 (სამოცდაათი) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

2. ლოტი N2; დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.დუშეთში, სტალინის ქუჩაზე, ინდ. მეწარმე დალი ჯიქურაულის" ბენზინ გასამართი სადგურის მიმდებარედ არსებული, არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების 35 მ2 მიწის ფართობი, შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა - დუშეთი; კოდი 71; სექტორი ქ. დუშეთში; კოდი 51; კვარტლის N01; ნაკვეთის N375;

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრება 236 (ორას ოცდათექვსმეტი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 24 (ოცდაოთხი) ლარით;

გ) ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 12 (თორმეტი) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

3. ლოტი N3, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. არაგვისპიში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 38 მ2 მიწის ფართობი; შემდეგი სარეგისტრაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა - დუშეთი; კოდი 71; სექტორი ჭონქაძე; კოდი 63; კვარტლის N50; ნაკვეთის N073.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრება 256 (ორას ორმოცდათექვსმეტი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 26 (ოცდაექვსი) ლარით;

გ) ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 13 (ცამეტი) ლარით;

დ) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

4. ლოტი N4, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. თვალივში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 5000 მ2 მიწის ფართობი; შემდეგი სარეგისრაციო მონაცემებით: სარეგისტრაციო ზონა - დუშეთი; კოდი 71; სექტორი ჟინვალი; კოდი 52; კვარტალი N207; ნაკვეთის N207.

ა) საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვრება 16 800 (თექვსმეტი ათას რვაასი) ლარით;

ბ) აუქციონში მონაწილის წინასწარი შენატანის - ბე"-ს სიდიდე განისაზღვროს 1680 (ათას ექვსას ოთხმოცი) ლარით;

გ) ბიჯის ბიჯის სიდიდე განისაზღვროს 840 (რვაას ორმოცი) ლარით;

d) მონაწილის ბილეთის ფასი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარით.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 7 ივლისის 10.00 სთ/დან 2009 წლის 5 აგვისტოს 11.00 სთ/მდე. აუქციონი გაიმართება 2009 წლის 5 აგვისტოს 12.00 სთ/ზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას განცხადებასთან ერთად უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;
"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
პირადობის მოწმობის ასლი.

ფიზიკური პირისათვის:
"ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
პირადობის მოწმობის ასლი.

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შმედეგ ანგარიშზე:
მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
საიდენტიფიკაციო კოდი: 229324451.
ანგარიში: 33030001.
მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101403.
გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:
მიმღები: დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
საიდენტიფიკაციო კოდი: 229324451.
ანგარიში: 33030001.
მიმღების ბანკი: საქართველოს სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101403.
გადახდისას უნდა მიეთითოს დანიშნულება.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას შემდეგ მისამართზე:
ქ. დუშეთი, სტალინის ქ. N27.
ტელ: 895 22 96 45; 8 (246) 2 19 74.
დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6) აცხადებს ტენდერს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლის მიშენების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.
**2.** შესყიდვა განხორციელდება ერთ ლოტად:
**ლოტი №1** – ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლის მიშენების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.
**3.** მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 1 აგვისტომდე პერიოდი.
**4.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 27 ივლისის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, III სართული, ოთახი №15; განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
**5.** სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი (აჭარის ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება სახაზინო სამსახური; საიდენტიფიკაციო კოდი – №245444844; სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი; ბანკის კოდი – 220101502; ანგარიში №897293000; დანიშნულება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სატენდერო მოსაკრებელი) უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადის გასვლამდე.
**6.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 28 ივლისის 10 საათიდან 2009 წლის 28 ივლისის 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, III სართული, ოთახი №15; განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
**7.** დალუქული კონვერტები გაიხსნება 2009 წლის 28 ივლისის 16 საათზე, მისამართზე: ბათუმი, რუსთაველის ქ. №6. (აჭარის ა. რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო).
**8.** ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირს შეუძლია სატენდერო დოკუმენტაციას გაეცნოს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, III სართული, ოთახი №15; განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.
**9.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**9.1. იურიდიული პირისათვის:**
ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობას საგადასახადო ორგანოდან, რომ არ ხორციელდება ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
**9.2. როგორც იურიდიული პირის, ასევე მეწარმე ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის გადახდისუუნარობის საქმისწარმოება;
ბ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
გ) ცნობას საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტისადმი დავალიანების არქონის შესახებ;
დ) წერილობით დასტურს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირი არ არის შეზღუდული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში;
ე) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტებს (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ვ) ინფორმაციას ანალოგიური მიწოდების გამოცდილების შესახებ შესაბამისი დოკუმენტის (ხელშეკრულება და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი) დართვით;
**შენიშვნა:** ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | განხორციელებული მიწოდების დასახელება (თითოეული ობიექტის მითითებით) | შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება | ხელშეკრულების, თარიღი, № და ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| და ა. შ. | | | |

ზ) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.
**შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად**

| № | დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და გამოშვების წელი | რაოდენობა, მოცულობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა, იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა. შ. | | | | | |

**თ)** ინფორმაციას ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირის წამყვან სპეციალისტთა (იმ წამყვანი სპეციალისტების, რომლებიც დაკავებულნი იქნებიან ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევით) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
**შენიშვნა:** ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | თანამდებობა, სპეციალობა, | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ მომსახურებაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიური მომსახურების გაწევის ჩამონათვალი ორგანიზაციების მითითებით) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | | | |
| 2 | | | | | |
| და ა. შ. | | | | | |

**10.** სატენდერო განცხადების მე-9 პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული/შედგენილი უნდა იყოს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.
**11.** სატენდერო განცხადების 9.1. და 9.2. პუნქტების "ა", "ბ", "გ" და "დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული ცნობები და მე-16 პუნქტით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მონაცემი (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია), შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.
**12.** სუბკონტრაქტორების არსებობის თაობაზე მითითებული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში და სუბკონტრაქტორები უნდა აკმაყოფილებდნენ იმავე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რასაც უშუალოდ პრეტენდენტი.
**13.** პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

**14.** ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**15.** სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სატენდერო წინადადებების კონვერტების გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

**16.** ტენდერში გამოიყენება ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**17.** ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**18.** სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი – არა) განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნათა შესაბამისად. პრეტენდენტს მიეცემა დისკვალიფიკაცია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

**19.** ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

**20.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – თათია დუმბაძე, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი; ტ. 7-16-48, 877-30-40-10. მისამართი: ბათუმი, რუსთაველის ქ. №6, მე-3 სართული, ოთახი №15.

<u>სატენდერო კომისია</u>

შ.პ.ს. "ბლექ სი გრუპი" სამცხე ჯავახეთის გზების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში აცხადებს ტენდერს სოფ. არაქვას კარიერიდან მასალის მიწოდებაზე სოფ. ხოსპიოში
ერთი მიმართულება - 17კმ.
გადასაზიდი მასალის მოცულობა - 120,000 მ3
სამუშაოს შესრულების ვადაა - 90 კალენდარული დღე
კონტრაქტორმა უნდა უზრუნველყოს:
1. 30 ტონიანი ექსკავატორი - 1 ერთეული
2. წყლის მანქანა - 1 ერთეული
3. თვითმცვლელი მინიმუმ 13 მ3 მოცულობის - 15 ერთეული
4. ბულდოზერი - 1 ერთეული

დაწვრილებით ინფორმაციისათვის მიმართეთ ზვიად ბერუაშვილს.
T: 877 99 01 49
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა: 15 ივლისი 2009
ასევე თქვენი წინადადებები მოგვაწოდეთ თბილისი, ვაჟა-ფშაველას N 71, ბლოკი 8, სართული 3, ოფისი 16.
E-mail: chuniashvili@papenburg.ge
Tel: (+995 32) 20 74 74
Fax: (+995 32) 20 74 20
საკონტაქტო პირი: მარინა ჭუნიაშვილი

**„სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვაქვეყნებთ ინფორმაციას: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ სარეზერვო მონაცემთა დამუშავების ცენტრის შესყიდვის მიზნით, გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 26 მაისს გამოქვეყნებულ ტენდერზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ტენდერზე გამარჯვებულად გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. "იუ-ჯი-თი"-სთან.**

**სატენდერო კომისიის აპარატი.**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
# ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის ძველი თბილისის რაიონის გამგეობა, (მისამართი: ქ. თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N2) აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საერთო სარგებლობის ეზოებში დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: 14600 კვ. მეტრი დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია ტექნიკურ დავალებაში, რომელიც ტენდერში მონაწილეებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, 2009 წლის 31 დეკემბრამდე (ჩათვლით).

